ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ზ. ხ., /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.02.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 007/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ლ.-ს /სიითი №----/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და ასოციაციის ორგანოების არჩევნების დროს ადვოკატ დ. ლ.-ს მხრიდან ჩადენილ სავარაუდო დარღვევებზე რეაგირება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 ზ. ხ.-მა 2018 წლის 26 იანვარს წერილობით მიმართა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს განცხადებით და მოითხოვა 2017 წლის 9 დეკემბრის არჩევნებზე მომხდარ მოვლენებზე შესაბამისი ზომების მიღება, ვინაიდან მისი შეფასებით, არჩევნებზე არსებული მაღალი გამჭირვალობის და დემოკრატიული პროცესის მიუხედავად, რამდენიმე ადვოკატმა მაინც სცადა მოეწყო ექსცესები, რომ ჩაშლილიყო არჩევნები და შეებღალათ ადვოკატთა ასოციაციის სახელი. ზ. ხ.-ის შეფასებით, ყველა აღნიშნულ ექსცესს, დარღვევას თუ პროვოკაციას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, ადვოკატთა კორპუსმა უნდა გასცეს ადეკვატური პასუხი, ეს საკითხები დეტალურად უნდა გაირკვეს და სამართლიანი და კვალიფიციური დასკვნა გაკეთდეს. ა. ა.-ის ა. ს.-ს 2018 წლის 31 იანვრის --- -ე გადაწყვეტილებით ზ. ხ.-ის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის 09.12.2017 წლის საერთო კრებაზე მმართველი ორგანოების არჩევნებზე გამოვლენილი ინციდენტების გამორკვევის თაობაზე, კონკრეტული ადვოკატ(ებ)ის შესაძლო გადაცდომაზე რეაგირებისთვის, განსახილველად გადმოეცა ეთიკის კომისიას. ეთიკის კომისიისთვის გადმოცემული განცხადება არ შეიცავდა მითითებას იმ ადვოკატის (ადვოკატების) ვინაობაზე,

რომელიც განმცხადებლის შეფასებით, არჩევნების დროს არაეთიკურად მოიქცა, თუმცა მოთხოვნა - ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და ასოციაციის ორგანოების არჩევნების დროს ადვოკატთა მხრიდან ჩადენილ სავარაუდო დარღვევებზე რეაგირება - დაყენებული იყო. საჩივრის დაზუსტების მიზნით, ეთიკის კომისიამ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოიწვია ზ. ხ. ზ. ხ.-მა 2018 წლის 12 აპრილს საპროცესო კოლეგიასთან გასაუბრებისას დააზუსტა მოთხოვნა, რომ იგი ითხოვდა 2017 წლის 9 დეკემბრის არჩევნებზე ადვოკატ დ. ლ.-ს მხრიდან ჩადენილი სავარაუდო დარღვევების შესწავლას.

1.2 ზ. ხ.-ის განმარტებით, არჩევნების მიმდინარეობისას თითქოს წინასწარ იყო მცდელობა იმისა, რომ არჩევნები ჩატარებულიყო არცთუ ისე დემოკრატიულად. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, თავმჯდომარეობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ლ. ჯ.-მ, მიმართა ადვოკატთა ასოციაციას განცხადებით და მოითხოვა ბიულეტენების ბეჭდით დამოწმება. ლ. ჯ.-ს მთავარი მოთხოვნები იყო ბიულეტენების ბეჭდით დამოწმება და სამანდატო კომისიაში მისი ერთი წევრის ყოფნა. ასევე მოითხოვა შეთანხმება იმაზე, რომ ხმის დამთვლელ კომისიაში, რომელსაც აირჩევდა საერთო კრება, მისი კომისიის წევრები ყოფილიყვნენ დარღვევათა თავიდან არიდების მიზნით. ზ. ხ.-ის განმარტებით, მისი სურვილი იყო არჩევნები მაღალი ლეგიტიმაციით ჩატარებულიყო და მან ა. ს.-ს სხდომაზე მხარი დაუჭირა აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას. თუ რომელიმე კანდიდატს უნდოდა ბიულეტენების დამოწმება, მათ უნდა დაემზადებინათ ბეჭდები და ბიულეტენები დაემოწმებინათ. ბიულეტენები როდესაც შემოიტანეს, დ. ლ.-ამ გამოთქვა თანხმობა, რომ ბიულეტენებს დაამოწმებდა, დ. ა.-მა განაცხადა, რომ მისი წარმომადგენელიც დაამოწმებდა ბიულეტენებს და რადგან აღნიშნული ლ. ჯ.-ს ინიციატივა იყო, ისიც დაამოწმებდა ბიულეტენებს. ყველა კანდიდატს შეეძლო ბიულეტენზე თავისი ბეჭდის დარტყმა. ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების რეგლამენტით ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატებმა რა წინადადებებიც მიაწოდეს აღმასრულებელ საბჭოს, სრულად იყო გათვალისწინებული, გარდა ერთისა. კერძოდ, ლ. ჯ.-მ მოითხოვა, რომ 15 წევრიანი ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობა გაზრდილიყო 35 წევრამდე. ზ. ხ. განმარტებით, მისი მოთხოვნა ვერ იქნებოდა გათვალისწინებული, რადგან აღმასრულებელ საბჭოს არ ჰქონდა ლეგიტიმაცია, რომ წესდება შეეცვალა.

1.3 ზ. ხ.-ის განმარტებით, ადვოკატმა დ. ლ.-მ მოითხოვა განესაზღვრათ ყუთების რაოდენობა და განლაგების წესი. მის წინადადებას დათანხმდნენ. დ. ლ. დაეთანხმა ლ. ჯ.-ს წინადადებას ბიულეტენების ბეჭდით დამოწმებაზე. ბიულეტენების მოტანას, ამოღებას, პროცესს სრულად დაესწრნენ კანდიდატები და მათი წარმომადგენლები. არჩევნების დღის დილის ოთხ საათზე დაამთავრეს ბიულეტენების დამოწმება და დალუქვამდე დაითვალეს ბიულეტენები. პროცედურების მიხედვით დალუქეს ბიულეტენები, რომელსაც ხელი მოაწერეს ან კანდიდატებმა ან კანდიდატების წარმომადგენლებმა. ადვოკატ დ. ლ.-ს შვილმა მოაწერა ხელი, ზ. ხ., ლ. ჯ.-მ. კანდიდატების წარმომადგენლებმა შეიტანეს ბიულეტენები სპორტის სასახლეში და დათვალეს. ბიულეტენების და ყუთების რაოდენობა დაემთხვა იმ რაოდენობას, რომელიც წინა დღით დალუქეს, პრეტენზია არავის ჰქონია და გადავიდნენ ხმის დამთვლელი კომისიის შერჩევის პროცესის განხილვაზე. ზ. ხ. კანდიდატებს შესთავაზა მათ გადაეწყვიტათ თუ რომელი ადვოკატები შეეთავაზებინა საერთო კრებისთვის ხმის დამთვლელ კომისიაში. ასოციაციის ათი თავმჯდომარეობის კანდიდატი იყო. ლ. ჯ.-მ და დ. ლ.-მ განაცხადეს, რომ თუ რომელიმე კანდიდატი არ დააყენებდა თავის კანდიდატურას, ისინი ორ კანდიდატურას დააყენებდნენ, რასაც

ზ. ხ. დათანხმდა და საერთო კრებამ კანდიდატების მიერ წარდგენილი ადვოკატებიდან აირჩია ხმის დამთვლელი კომისია.

1.4 ზ. ხ. განმარტებით, ის საარჩევნო პროცესის დროს პერიოდულად მიდიოდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და არკვევდა მათ შენიშვნებს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით. არჩევნების ორგანიზების პროცესში ყველა დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციის მოთხოვნები გაითვალისწინეს. შესაბამისად, არჩევნებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებს უარყოფითი დასკვნები არ გამოუქვეყნებიათ.

1.5 ზ. ხ. განმარტებით, საარჩევნო რეგლამენტით განსაზღვრული დრო არის პირობითი, რადგან როდესაც ადვოკატი მოსულია არჩევნებზე და სურს ხმის მიცემა, მას ვერ წაართმევ ხმის მიცემის უფლებას. როდესაც დამთავრდა ხმის მიცემა და ყუთები უნდა დალუქულიყო, მაშინ, როდესაც ჟურნალისტები, რომლებიც ელოდებიან ხმის დათვლის პროცესის დაწყებას და ამბობდნენ, რომ უპრეცედენტო არჩევნები ჩატარდა, მოედანზე, სადაც ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობდა, მოულოდნელად შემოვარდა ადვოკატი დ. ლ., რომელიც ყვიროდა, რომ არჩევნები უნდა გაყალბებულიყო, ბიულეტენების ჩაყრა უნდოდათ ყუთებში, დენი უნდა ჩამქვრალიყო და მოითხოვა ყუთების დალუქვა. ზ. ხ. განუმარტა დ. ლ.-ს, რომ დენის ჩაქრობა გამორიცხული იყო, მაგრამ მაინც შეეპარა ეჭვი, აიღო ბეჭედი და დაცვას დაუყვირა, რომ წრე შემოერტყათ ყუთებისთვის. საარჩევნო პროცესს რამდენიმეკაციანი დაცვა იცავდა. დაცვამ დაარტყა ყუთებს წრე. ზ. ხ. დალუქულ ყუთებს ბეჭდები დაარტყა. ამ დროს დ. ლ. კვლავ ყვიროდა. ზ. ხ. დ. ლ.-ს ეუბნებოდა, რომ დენის ჩაქრობა შეუძლებელი იყო, ვინაიდან როდესაც არჩევდნენ თუ სად ჩაატარებდნენ არჩევნებს, ზ. ხ. არჩევნების სპორტის სასახლეში ჩატარება გადაწყვიტა სწორედ იმის გამო, რომ იქ დენი არ ქრებოდა. არსებობს ფეხბურთის ფედერაციის და კალათბურთის ფედერაციის წესდება, რომ იმ მოედნებზე არ უნდა ჩატარდეს ევროპის ჩემპიონატის თამაშები, სადაც დენი შეიძლება ჩაქრეს და არ არის იუპიესის სისტემა, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში უზრუნველყოფს დენის გამართულ მიწოდებას. მთელს საქართველოში რომ ჩამქრალიყო დენი, სპორტის სასახლეში დენი ვერ გაითიშებოდა იმიტომ, რომ კალათბურთის ევროპის ჩემპიონატის თამაშს, სადაც საქართველოს ნაკრები თამაშობს, იქ არავინ ჩაატარებდა.

1.6 ზ. ხ. შეფასებით, დ. ლ. იმ ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც დაცვა ყუთებს იცავდა და აგრძელებდა ყვირილს, რომ დენი ჩაქრებოდა. დ. ლ.-ს ყვირილის შემდეგ არჩევნებზე სიტუაცია გახდა უმართავი. ექსცესების შემდეგ ზ. ხ. ცდილობდა, რომ დაეწყნარებინა ხალხი. ამას დაემთხვა ადვოკატ დ. მ.-თან ზედმეტი ბიულეტენების აღმოჩენა, რომელსაც ზ. ხ. წაართვა ბიულეტენები, რაც ხელში ეჭირა და გადასცა ადვოკატ ი. ჭ.-ს, რომელიც ამ დროს ცდილობდა გაერკვია თუ რა ბიულეტენები ჰქონდა ადვოკატ დ. მ.-ს. ზ. ხ. განმარტებით, მას არ ახსოვს თუ რამდენი ბიულეტენი ჰქონდა ადვოკატ დ. მ.-ს, ვინაიდან როდესაც არეულობა ატყდა, ეს ბიულეტენები გულზე მიიკრა, რომ არავის დაეხია და უნდოდა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარისთვის გადაეცა. ადვოკატმა ი. ჭ.-მ ზ. ხ.-ს უთხრა, რომ მიეცა ბიულეტენები და ის გადასცემდა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს და ზ. ხ. ი. ჭ.-ს გადასცა ბიულეტენები. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა მიეხედა ამ პროცესისთვის, დანარჩენთან ზ. ხ.-ს შეხება არ ჰქონია.

1.7 ზ. ხ. განმარტებით, დ. ლ.-მ ყველაფერი წინასწარი განზრახვით გააკეთა, რომ არჩევნების პროცესი რაღაცნაირად შეფერხებულიყო, ამტყდარიყო ქაოსი და ადვოკატთა ასოციაციის იმიჯი, რომელიც საკმაოდ მაღალია სამოქალაქო საზოგადოებაში, დაცემულიყო. რომ არა დ. ლ.-ს პროვოკაციული მოქმედება, არჩევნები მშვიდ ვითარებაში დასრულდებოდა. ამის შემდეგ ზ. ხ. მასმედიით გააკეთა განცხადება, რომ სავარაუდოდ ეს კაცი მოსაკვეთი იყო ადვოკატთა კორპუსიდან, რადგან

ადამიანმა, რომელიც არჩევნების ჩაშლას ცდილობდა, შემდეგ ჩაატარა კონფერენცია და მას დააბრალა არჩევნების გაყალბების მცდელობა. ამას ამბობდა ადამიანზე, რომელსაც შეხება არ ჰქონია ბიულეტენებთან და ხმის დამთვლელ კომისიას ბიულეტენები მიუტანა მისმა შვილმა. დ. ლ. არის ადვოკატი, ამასთან იბრძოდა ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის და მას სავარაუდოდ ეცოდინებოდა, რომ იმ არენაზე, სადაც ევროპის ჩემპიონატის თამაში შეიძლება ჩატარდეს, დენი რომ ჩაქრება, იქ ჩაირთვება იუპიესი და გამორიცხულია დენის ჩაქრობა. შესაძლოა დარბაზში დენი გაითიშა, ადვოკატები ამბობდენენ, რომ ელექტროენერგია გაითიშა, მაგრამ დარბაზში რეალურად დენი არ ჩამქრალა.

1.8 ზ. ხ.-ის განმარტებით, რომ არა დ. ლ.-ს ქცევა, არჩევნებზე არაფერი მოხდებოდა. აქედან გამომდინარე მიმართა ზ. ხ.-მა ა. ა.-ის ა. ს.-ს, წარუდგინა არასამთავრობო ორგანიზაციათა დასკვნები, ვიდეომტკიცებულებები და ითხოვა ამ ფაქტის შესწავლა. მისი სურვილი იყო შექმნილიყო კომისია გაფართოებული შემადგენლობით, რომელიც შეისწავლიდა არჩევნებზე მომხდარ ექსცესებს, მაგრამ ვინაიდან, ა.-მა ს.-მ მიიღო გადაწყვეტილება რომ ეთიკის კომისიისთვის გადმოეცა განცხადება, ის პატივს სცემს მიღებულ გადაწყვეტილებას. ზ. ხ. აზუსტებს, რომ მას პრეტენზია აქვს მხოლოდ ადვოკატ დ. ლ.-ს ქცევაზე. ზ. ხ.-ის შეფასებით, ეთიკის კომისიამ უნდა აღძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ დ. ლ.-ს მიმართ, ვინაიდან მისი ქცევით შეილახა ადვოკატთა კორპუსის იმიჯი და თუ მას ეს შერჩა, ზ. ხ. ფიქრობს, რომ ,,სხვა ბევრი ლ.--“ გამოვლენ. ეთიკის კომისია ემსახურება ადვოკატთა პროფესიის დაცვას და ზ. ხ.-ის შეფასებით, კომისიამ უნდა დაიწყოს წარმოება იმ ადვოკატის მიმართ, რომელიც არჩევნებზე არაეთიკურად იქცეოდა, კერძოდ არაეთიკურია დ. ლ.-ს შემოვარდნა მოედანზე, ხმამაღალი ტონით საუბარი, ყვირილი, რომ არჩევნები უნდა გაყალბებულიყო და ბიულეტენები უნდა ჩაეყარათ ყუთში. მოედანზე ყოფნის უფლება მას არ ჰქონია, მით უმეტეს, როდესაც დაილუქა ხმის დამთვლელი ყუთები და დაცვამ ალყა დაარტყა ყუთებს, დ. ლ.-ს უნდა დაეტოვებინა მოედანი. დ. ლ.-ს ნათქვამი, რომ მომხდარიყო მაშინ ადვოკატთა ასოციაცია და ხმის დამთვლელი კომისია იძულებული იქნებოდა ბათილად გამოეცხადებინა არჩევნები. დაცვას ყუთები რომ არ გადაეტანა და ალყაში არ მოექცია, ადგილი ჰქონდა არჩევნების ჩაშლის მცდელობას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ დ. ლ.-ს მიერ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და მმართველი ორგანოების არჩევნებისას მისი ქცევა იყო კანონიერი, მიმართული იყო ხმების დასაცავად და გარკვეული ეჭვების და ექსცესების თავიდან ასარიდებლად, რაც შესაძლოა გაჩენილიყო, თუ საარჩევნო პროცესში სპორტის სასახლეში ელექტროენერგია ჩაქრებოდა.

2.2 ადვოკატის პოზიციით, საჩივარი ეხება ზ. ხ.-ის ვარაუდს, რომ დ. ლ.-ს სურდა არჩევნების ჩაშლა და კონკრეტული ფაქტები, რასაც საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის დ. ლ.-ს ქცევაში საჩივრიდან არ იკვეთება.

2.3 ადვოკატის პოზიციით, საერთო კრება მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში. 19:40 სთ-ზე ხმის მისაცემად მისულ ადვოკატთა ნაკადი შეწყდა, რაც რეგლამენტის მიხედვით საარჩევნო ყუთების დალუქვის საფუძველი იყო. ყუთების დალუქვა ჭიანურდებოდა. ამ დროს სხდომის თავმჯდომარემ, ზ. ხ. გამოაცხადა, რომ მას სხვა კანდიდატებმა სთხოვეს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მოდიოდნენ ადვოკატები და 8 სთ-მდე უნდა გადაწეულიყო კენჭისყრის

დრო. დ. ლ.-მ ბ. ა.-ს სთხოვა გაერკვია, ვინ სთხოვა ზ. ხ.-ს კენჭისყრის დროის გადაწევა, თუმცა ბ. ა.-მ ზ. ხ.-გან ზუსტი პასუხი ვერ მიიღო. ამ დროს დ. ლ.-ს კოლეგებმა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ სპორტის სასახლის მიმდებარედ ელექტროენერგია გამოირთო, სავარაუდოდ დარბაზშიც ჩაქრებოდა და მოსალოდნელი იყო არჩევნების გაყალბება. დ. ლ.-მ შვილი დაცვასთან გააგზავნა, რომ ელექტრომომარაგების შესახებ ინფორმაცია გადაემოწმებინა. ამ დროს თავად გაემართა ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციისკენ.

2.4 დ. ლ.-ს განმარტებით, მისი მოედანზე ყოფნის მიზეზი იყო ზ. ხ.-თან საუბრისა და მისი ინფორმირების სურვილი ელექტროენერგიის შესაძლო გამორთვის შესახებ. ის თავიდან მშვიდად მივიდა ასოციაციის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აღმასრულებელ მდივანთან, ი. ნ.-სთან და აღმასრულებელი საბჭოს მდივანთან, ქ. ჯ.-სთან, და იკითხა რა საშუალებები ჰქონდათ, თუ იყო ადმინისტრაცია მზად ისეთი შემთხვევისთვის, როგორიცაა ელექტროენერგიის გამორთვა. ი. ნ.-მ დ. ლ.-ს აცნობა, რომ ასეთ შემთხვევაში გამოიყენებდნენ ტელეფონების ფანრებს, რის გამოც დ. ლ.-მ გადაწყვიტა ეს ინფორმაცია სხდომის თავმჯდომარისთვისაც მიეწოდებინა. ზ.-ს მისვლისას დ. ლ.-მ უთხრა მას, რომ შუქი ქრებოდა და ყუთები უნდა დაელუქათ. ზ. ხ. დაინტერესდა თუ საიდან ჰქონდა ეს ინფორმაცია დ. ლ.-ს. ამას მოყვა განათების შემცირება დარბაზში და როგორც მოგვიანებით გაირკვა დარბაზი გადავიდა იუპიესის წყაროთი განათებაზე. დ. ლ.-მ მოუწოდა დაცვას დაეცვათ ყუთები, რომ არ მომხდარიყო გაუგებრობა. დ. ლ.-ს განმარტებით, მან ყვირილი დაიწყო მას შემდეგ, რაც ზ. ხ. არ დაუჯერა მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და ის ხმამაღალი ტონით მოუწოდებდა დაცვას დაეცვათ ყუთები და დამდგარიყვნენ ყუთებთან. ამას დაემთხვა საარჩევნო პროცესში დამკვირვებელთა მხრიდან დარღვევათა გამოვლენა, კერძოდ ხმის დამთვლელი კომისიის ორ ადვოკატ წევრს არჩევნებში მონაწილე ასოციაციის თავმჯდომარეობის ერთი კანდიდატის მხარდასაჭერი ზედმეტი ბიულეტენი აღმოუჩინეს. აქედან ერთი საარჩევნო ხმების ყუთთან ახლოს იდგა. აღნიშნული კომისიის ორი წევრი ადვოკატის ქცევა არ გამხდარა სადავო, დღემდე არ არის გარკვეული საიდან ჰქონდათ მათ ზედმეტი ბიულეტენები.

2.5 დ. ლ.-ს პოზიციით, მას როგორც აღმასრულებელი საბჭოს წევრს სრული უფლება ჰქონდა ყოფილიყო მოედანზე, ვინაიდან იმ პერიოდში წარმოადგენდა აღმასრულებელი საბჭოს წევრს და პირიქით მისი ვალდებულება იყო ეზრუნა არჩევნების კანონიერად ჩატარებაზე. არ არსებობს აქტი, სადაც მითითებული იქნება, რომ მოედანზე ყოფნის უფლება არ ჰქონდა და ამით ის საარჩევნო პროცედურებს არღვევდა. იმ ეტაპზე არ მიმდინარეობდა ხმის მიცემის პროცესი. ამასთან, ადვოკატთა ასოციაციის მაშინდელი თავმჯდომარე, ზ. ხ. დაეთანხმა მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და მოუწოდა დაცვას დაელუქათ და დაეცვათ ყუთები. ყუთები დაილუქა მხოლოდ დ. ლ.-ს მოწოდების შემდეგ. მის მიერ ელექტროენერგიის შესაძლო გამორთვის თაობაზე განცხადების გაკეთებისას ყუთები არ იყო დალუქული.

2.6 დ. ლ.-ს პოზიციით, ინფორმაცია ელექტროენერგიის შესაძლო გამორთვის შესახებ მიიღო კოლეგებისგან, რომლებიც გარედან შემოვიდნენ და მიაწოდეს ინფორმაცია რომ სპორტის სასახლის მიმდებარედ შუქი ჩაქრა და შესაძლოა შუქი დარბაზშიც ჩამქრალიყო. როგორც მოგვიანებით გაიგო დარბაზი გადავიდა UPS-ის სისტემაზე. მეორე დღეს დარეკა თელასში და დაუდასტურეს, რომ იმ დროს რამდენიმე წუთით სპორტის სასახლის მიმდებარედ მართლაც ჩაქრა ელექტროენერგია.

2.7 დ. ლ.-ს განმარტებით, მისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა პირიქით ზ. ხ.-ის საჯარო განცხადებები იმის შესახებ რომ ის უნდა მოკვეთილიყო ადვოკატთა ასოციაციისგან, თუმცა ამას

უფრო ღრმა საფუძველი აქვს, ვიდრე არჩევნებია. დ. ლ.-ს განმარტებით, მისი ქცევა როგორც საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ისე იმის შემდეგ იყო ეთიკური და ემსახურებოდა მხოლოდ იმ მიზანს, რომ ყველა პროცედურა დაცულიყო და ჩატარებულიყო ღირსეული არჩევნები.

3. მოწმის ბ. ა.-ს განმარტება:

3.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ადვოკატმა, ბ. ა.-მ, 2018 წლის 4 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ 2017 წლის 9 დეკემბერს ჩატარებულ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და მმართველ ორგანოთა არჩევნებზე, დაახლოებით 8 საათზე ადვოკატთა ასოციაციის მოქმედმა თავმჯდომარემ ზ. ხ. განაცხადა, რომ მას მიმართა ერთ-ერთმა კანდიდატმა, რომელმაც განუმარტა, რომ დარჩენილი იყო ადვოკატების გარკვეული ნაწილი, ვინც ვერ ასწრებდა არჩევნებში ხმის მიცემას გარკვეული მიზეზების გამო და მოითხოვა ხმის მიცემის პროცედურისთვის განსაზღვრული დროის გახანგრძლივება. ზ. ხ. რამდენიმე წუთით, 20:00 სთ-მდე გადაწია კენჭისყრის დრო.

3.2 მოწმე განმარტავს, რომ საარჩევნო კანდიდატმა დ. ლ.-მ მას ჰკითხა თუ რატომ არ მთავრდებოდა კენჭისყრა, რაზეც მოწმემ განუმარტა, რომ ერთ-ერთმა კანდიდატმა, რომლის გვარსაც მოწმე ვერ იხსენებს, ზემოთხსენებული თხოვნით მიმართა ადვოკატთა ასოციაციის მოქმედ თავმჯდომარეს ზ. ხ.-ს, რომელმაც გაახანგრძლივა საარჩევნო დრო.

3.3 მოწმე განმარტავს, რომ არჩევნების მიმდინარეობისას სპორტის სასახლის შენობის ფოიეში ჩაქრა შუქი, ხოლო შენობის დარბაზი, სადაც უშუალოდ არჩევნების პროცესი მიმდინარეობდა, განათებული იყო. მოწმის განმარტებით, ადვოკატთა თავმჯდომარეობის კანდიდატმა დ. ლ.-მ მას ჰკითხა იყო თუ არა შუქი ჩამქვრალი დარბაზის გარეთ, შენობის ფოიეში, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ შუქი ჩაქრა, ხოლო რატომ ჩაქრა მან არ იცოდა. ინფორმაციის დასადგენად, თუ რატომ ჩაქრა შუქი გარეთ, დ. ლ. გაემართა შენობის ადმინისტრაციისაკენ, სადაც გაესაუბრა იქ მყოფ პირებს. მოცემულ ქცევებს მოწმე აკვირდებოდა ტრიბუნიდან, რა დროსაც მის მხარეს მოქმედი 8 პროჟექტორიდან 2 ჩაქრა, რამაც დარბაზში სინათლის კლება და არეულობა გამოიწვია. პროჟექტორების ჩაქრობის შემდეგ, დარბაზში იგრძნობოდა დარჩენილი პროჟექტორების გათიშვის საფრთხე, რამაც გამოიწვია იქ მყოფ პირთა პანიკა, ისმოდა ხმამაღალი შეძახილები. მოწმე ასევე განმარტავს, რომ მას არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა მდგომარეობა იყო სპორტის სასახლის შენობის გარეთ, რადგან გარეთ არ გასულა და ეს ინფორმაცია გადმოცემით ჰქონდა. მოწმე ასევე განმარტავს, რომ დ. ლ.-ს მან დაუდასტურა შუქის ჩაქრობის შესახებ ინფორმაცია. მოწმე აღნიშნავს, რომ მისთვის წინასწარ არავის უცნობებია, რომ შუქი ჩაქრებოდა.

3.4 მოწმის განმარტებით შუქის ჩაქრობის შემდეგ დამკვირვებლებმა დალუქეს საარჩევნო ყუთები და მოგვიანებით, დაცვის თანხლებით ნაწილ-ნაწილ გაიტანეს დარბაზიდან.

3.5 მოწმე განმარტავს, რომ საარჩევნო კანდიდატი დ. ლ. დაცვის გავლით პერიოდულად შედიოდა ჯებირებს მიღმა, იმ ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობდა არჩევნები. მოწმე ვერ იხსენებს დ. ლ.-ს მიერ განხორციელებულ არასტანდარტულ ქმედებას და ვერ გამოკვეთს დარბაზში არსებულ ხმაურში დ. ლ.-ს ხმას.

3.6 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატ დ. მ.-ის ქმედება თავად არ უნახავს, ვინაიდან მისგან მოშორებით იყო, ხოლო ადვოკატი მ. თ. მის ტრიბუნასთან ახლოს იყო და მოწმე თვალს ადევნებდა მას. მოწმის ინფორმაციით, ადვოკატი დ. მ. საარჩევნო კანდიდატის დ. ა.-ის გუნდის წევრი იყო, ხოლო მ. თ.-ზე არ აქვს ინფორმაცია.

4. **მოწმის ი. ნ.-ის განმარტება:**

4.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ი. ნ.-მ, 2018 წლის 4 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ 2017 წელს არჩევნების პერიოდში ეკავა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის პოზიცია და მის აპარატს ევალებოდა ადვოკატთა საერთო კრების ორგანიზება. დაახლოებით 20:00 საათისთვის, არჩევნების დამთავრების შემდეგ მოწმე იმყოფებოდა კრებაზე, პრეზიდიუმში ათ თანამშრომელთან ერთად, რა დროსაც მივიდა მათთან დ. ლ. და ადვოკატთა ასოციაციის აპარატის თანამშრომლებს ჰკითხა შუქი რომ ჩამქრალიყო, თუ იყვნენ მზად. აღნიშნულზე მოწმემ უპასუხა, რომ მზად იყვნენ, მათ თან ჰქონდათ მობილური ტელეფონები და ტელეფონების ფანრებს გამოიყენებდნენ გასანათებლად. ასევე დ. ლ.-ს განუმარტა, რომ მათ ელექტროენერგიით სარგებლობისთვის თანხა გადახდილი ჰქონდათ და წესით პრობლემა არ უნდა შექმნოდათ. მოცემული საუბრის შემდეგ დ. ლ. წავიდა. მოწმეს ზუსტად არ ახსოვს, აღნიშნული მომენტისათვის საარჩევნო ყუთები დალუქული იყო თუ არა.

4.2 მოწმის განმარტებით, დ. ლ.-ს გასვლის შემდეგ, ზ. ხ. მოწმეს სთხოვა ადვოკატთა ასოციაციის ბეჭედი, რომელიც სავარაუდოდ სჭირდებოდა ყუთების დასალუქად. მოწმე გავიდა გარეთ ბეჭედის მოსატანად, რადგან ჰქონდა ავტომობილში და დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ, როდესაც დაბრუნდა, შეამჩნია, რომ ყველა იდგა დარბაზის მარჯვნივ, სადაც დაცვით გარშემორტყმული საარჩევნო ყუთები იყო განლაგებული. მოცემულ მომენტში მოწმეს დ. ლ.-ს ხმა არ გაუგონია.

4.3 მოწმის შეფასებით, მასთან საუბრის შემდეგ დ. ლ. ყვიროდა და უთითებდა, რომ შუქი ქრებოდა, მაგრამ თავად მოწმე არ შესწრებია ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას. ამ დროს ხმის მიცემის პროცესი დასრულებული იყო. მოწმემ განმარტა, რომ ყვირილის გარდა, მას დ. ლ.-სთან მიმართებაში, სხვა უცნაური ფაქტი არ დაუფიქსირებია. იგი უბრალოდ იდგა ზ. ხ.-თან და კონკრეტულ დეტალებს ათანხმებდა აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით.

4.4 მოწმეს ყუთების დალუქვაში მონაწილეობა არ მიუღია, ვინაიდან ზ. ხ.-ს ჰქონდა ბეჭედი, ასევე ყუთებთან იდგა დაცვა და ფიზიკურად ვერ შეძლებდა მონაწილეობის მიღებას. სავარაუდოდ ზ. ხ. დალუქა ყუთები, ვინაიდან, მოწმემ მას გადასცა ბეჭედი.

4.5 მოწმის განმარტებით, როდესაც ის გარეთ გავიდა ბნელოდა, მაგრამ განათება იმ დონეზე იყო, რომ მას არ გაჭირვებია ავტომობილის მიგნება, შესაბამისად განაცხადა, რომ შუქი რომ არ ყოფილიყო, იგი შენიშნავდა და ფანარს ჩართავდა გარეთ გასასვლელად.

4.6 მოწმემ აღნიშნა, რომ ბიულეტენების გაყალბების მცდელობას ვერ შეაფასებს, რადგან არ აქვს ინფორმაცია მოცემულზე, ასევე ეს არის უშუალოდ პროკურატურის კომპეტენცია.

5. **მოწმის ა. ს.-ის განმარტება:**

5.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეულმა მოწმემ, ა. ს.-ემ, 2018 წლის 4 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ ის 2017 წლის 9 დეკემბრის არჩევნებზე იყო დამკვირვებელი დ. ლ.-ს მხრიდან. მის ფუნქციაში შედიოდა ბიულეტენების გაცემის კონტროლი და ასევე ყუთების ზედამხედველობა, რომ არ მომხდარიყო ყუთში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა.

5.2 მოწმის განცხადებით, თავიდან საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა ნორმალურად, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა მცირე გადაცდომებს, კერძოდ ხანდახან შეცდომით ხდებოდა საარჩევნო ბიულეტენების გაცემა, ვინაიდან რამოდენიმე ფერის ბიულეტენი იყო და ხდებოდა ერთი და იგივე ბიულეტენის გაცემა, რაზეც დამკვირვებლები მიმართავდნენ ხოლმე კომისიის თავმჯდომარეს. ძირითადად მოცემულ მიმართვებზე კომისია რეაგირებას არ ახდენდა.

5.3 მოწმის განცხადებით, მან შეამჩნია, რომ ბლანკები კომისიის წევრებს გადაეცემოდათ არათანაბრად, ვინაიდან არ იყო რაოდენობრივად დახარისხებული და რაოდენობის განსაზღვრა ხდებოდა თვალზომით, რაც იწვევდა იმას, რომ რეალურად გაცემული ბლანკების დათვლა ფაქტობრივად შეუძლებელი ხდებოდა. კომისიის წევრები განმარტავდნენ, ბლანკების დათვლა იმიტომ არ ხდებოდა, რომ ამომრჩევლის დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, ვერ ასწრებდნენ დათვლას.

5.4 მოწმის განმარტებით, იგი ასრულებდა თავის მოვალეობას, რა დროსაც ვიღაცამ, სავარაუდოდ დ. ლ.-მ თქვა, რომ შუქი ქრებოდა, რის შემდეგაც ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა დარბაზში, მაგრამ ავტომატურად ამუშავდა საავარიო სისტემა და აღუდგა შენობას ელექტროენერგიის მიწოდება. მოცემული წყვეტა იყო ისეთი ხანმოკლე, რომ ფაქტობრივად სიბნელე არ დამდგარა დარბაზში და ხედვის პრობლემაც არ ყოფილა, თუმცა, საარჩევნო ყუთების დალუქვის შემდეგ სანამ ხმის დათვლა დაიწყებოდა, დაახლოებით 21:00 საათზე, გავიდა გარეთ და შეამჩნია, რომ სპორტის სასახლის კორიდორებში არ იყო შუქი და ბნელოდა.

5.5 მოწმემ განაცხადა, რომ დ. ლ. საერთოდ არ ერეოდა არჩევნების მიმდინარეობის პროცესში, იქამდე, სანამ ელექტროენერგია შეუწყდებოდა დარბაზს. შუქის ჩაქრობის პერიოდში დაინახა, რომ დ. ლ. იყო კომისიის წევრებთან ერთად, პირველ მაგიდასთან, ხალხის გარემოცვაში და რაღაცაზე მსჯელობდნენ.

5.6 მოწმის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო ყუთებს იცავდა დაცვა, განაცხადეს, რომ შუქის ჩაქრობის გამო შესაძლოა ყუთებში ჩაეყარათ გაყალბებული ბიულეტენები და იგი პრევენციის მიზნით უყურებდა ყუთებს. ამ დროს ერთ-ერთი ქალბატონი იმყოფებოდა საარჩევნო კაბინაში და ხაზავდა ბიულეტენებს. მოწმის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონს არაერთხელ განუმარტეს, რომ საარჩევნო პროცესი იყო დასრულებული და მოუწოდეს, რომ დაეტოვებინა კაბინა, იგი მაინც არ გამოდიოდა გარეთ.

5.7 მოწმის განმარტებით, ამის შემდეგ იგი უშუალოდ მივიდა ქალბატონთან და აუხსნა, რომ ვინაიდან საარჩევნო პროცესი იყო დასრულებული, იგი ვეღარ მისცემდა ხმას და უნდა გამოსულიყო კაბინიდან, რის შემდეგაც გამოვიდა ქალბატონი გარეთ და მოწმემ დაინახა რომ მას ხელში ეკავა დაახლოებით ექვსი ცალი ვარდისფერი ბიულეტენი. როდესაც მოწმემ სთხოვა განემარტა მისთვის, თუ რატომ ეკავა ამდენი ბიულეტენი ხელში, ქალბატონმა განუცხადა, რომ ეს არ იყო დამკვირვებლის საქმე. როდესაც მოწმემ მას გამოართვა აღნიშნული ბიულეტენები, აღმოაჩინა, რომ ყველა მათგანზე იყო შემოხაზული ერთი და იგივე კანდიდატურა. ასევე მოწმემ აღნიშნა, რომ მოცემულ ბიულეტენებს ბეჭედი ჰქონდა დასმული და ქალბატონისთვის ჩამორთმევის შემდეგ ბიულეტენები გადასცა ზ. ხ.-ს.

5.8 მოწმის განმარტებით, შუქის გამორთვის შემდეგ, განათება უმნიშვნელოდ შეიცვალა, სიტუაცია არ გამხდარა უმართავი და არჩევნების ჩაშლის საფრთხეც არ ყოფილა. დაცვის თანამშრომლებმა სწრაფად მოახდინეს რეაგირება. ერთადერთი იყო ზემოთ აღნიშნული ქალბატონი, რომელიც შუქის ჩაქრობის შემდეგ ამოქმედდა, შევიდა კაბინაში და დაიწყო ბიულეტენების შემოხაზვა.

სავარაუდოდ ისარგებლა არეულობით და გადაწყვიტა მიეცა ხმები თავისი რჩეული კანდიდატისათვის. მოწმის განცხადებით, მოცემული ქალბატონი, როგორც თვითონ გაარკვია, იყო საარჩევნო კომისიის წევრი, სავარაუდოდ ერქვა მ.

5.9 მოწმის განცხადებით, ზემოთ მოცემული ექსცესების გარდა, ხმის დათვლის დროს გამოიკვეთა, რომ ამომრჩევლებზე ოთხით მეტი ბიულეტენი იყო ჩაყრილი ყუთებში.

5.10 საარჩევნო პროცესის პერიოდში, მოწმის განმარტებით, მის პერიმეტრზე მოძრაობდნენ მხოლოდ ამომრჩევლები და ასევე პერიოდულად დადიოდა ზ. ხ. და თვალს ადევნებდა პროცესს. თუმცა მან ასევე შეამჩნია, რომ სავარაუდოდ ხმის მიცემის დროს, ი. ჭ. შედარებით დიდ ხანს გაჩერდა მოედანზე.

6. მოწმის ლ-გ ლ.-ს განმარტება:

6.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ლ-გ ლ.-მ, 2018 წლის 4 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ არჩევნებს ერთ-ერთი კანდიდატის - დ. ლ.-ს მიერ მიწვეული დამკვირვებლის სტატუსით აკვირდებოდა.

6.2 მოწმის განცხადებით, საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას, თავიდან ადგილი ჰქონდა გარკვეულ დარღვევებს, კერძოდ ერთ-ერთ პიროვნებას, რომელიც გასცემდა საარჩევნო ბიულეტენებს, რამოდენიმე გრაფაში ჩაწერილი ჰქონდა სხვა პიროვნებების სახელი და გვარი, თუმცა შემდეგ მოწმემ ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარესთან გაარკვია, რომ ასეთი ტიპის დარღვევები იყო უმნიშვნელო.

6.3 დ. ლ.-მ არჩევნების მიმდინარეობისას დაახლოებით 20:00 საათისათვის მოწმეს დაუძახა და უთხრა, რომ მასთან ორი ქალბატონი იყო მისული, რომელთაც გარკვეული ინფორმაცია ჰქონდათ საარჩევნო პროცესზე. როდესაც მოწმე მივიდა აღნიშნულ ქალბატონ ადვოკატებთან, მას ადვოკატებმა უთხრეს, რომ დაკვირვებოდა ხმის დამთვლელი კომისიის ქალბატონ წევრებს ჩანთებზე, რადგან ადგილი ჰქონდა არჩევნების გაყალბების მცდელობას. ერთ-ერთი ქალბატონი, რომელზეც მიუთითეს, გვარად იყო მ., რომელიც შემდგომ დაიჭირეს ფაქტზე.

6.4 მოწმის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან, დაკვირვების პროცესში არანაირი საეჭვო გარემოება არ ყოფილა გამოვლენილი, მოცემული ინფორმაციის მიღების შემდეგ, დაუკავშირდა რაციის მეშვეობით სხვა დამკვირვებლებს დ. ლ.-ს შტაბიდან და უთხრა, რომ ყურადღება მიექციათ პროცესებისათვის.

6.5 მოწმის განცხადებით, დაახლოებით 19:30 საათისთვის ზ. ხ.-მა წამოაყენა ინიციატივა, რომ საარჩევნო პროცესი 20:00 საათამდე გაეგრძელებინათ, რადგან ამომრჩევლები ვერ ასწრებდნენ მოსვლას. მოცემულ მომენტში მოწმე მოძრაობდა საარჩევნო პერიმეტრზე და აღმოაჩინა, რომ არც ერთი კანდიდატის წარმომადგენელი არ იმყოფებოდა ადგილზე.

6.6 მოწმის განმარტებით, შემდეგ ჩაქრა შუქი და დ. ლ.-მ დაავალა მას, გასულიყო დაცვასთან და გაერკვია, თუ ჰქონდათ გენერატორი. რამოდენიმე წამი დაჭირდა მას დაცვასთან მისასვლელად, სადაც დაცვამ განუცხადა მას, რომ არ ჰქონდათ გენერატორი, ვინაიდან შენობა აღჭურვილი იყო იუპიესის სისტემით. როდესაც მოწმე დაბრუნდა უკან, რათა დ. ლ.-სთვის გადაეცა ინფორმაცია, მან დაინახა, რომ დ. ლ. იმყოფებოდა მოედანზე ასოციაციის თავმჯდომარესთან და კომისიის წევრებთან.

6.7 როდესაც მოწმე ადგილზე მივიდა, დ. ლ. კომისიის წევრთან არკვევდა შუქის ჩაქრობის ფაქტთან დაკავშირებით, რაიმე საშუალება ხომ არ გააჩნდათ მათ პრობლემის აღმოსაფხვრელად, რაზეც კომისიის წევრმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ მობილური ტელეფონები. შემდეგ დ. ლ.-სთან მივიდა ზ. ხ. და ჰკითხა მას, თუ რა პრობლემა ჰქონდა, რაზეც დ. ლ.-მ უპასუხა, რომ უნდოდა დაედგინა, რაიმე საშუალება თუ ჰქონდათ, ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში პრობლემის გადასაჭრელად ვინაიდან ენერგიის მიწოდება იყო შეწყვეტილი და მუშაობდა მხოლოდ იუპიესი.

6.8 მოწმის განმარტებით, სპორტის სასახლის დარბაზში არის წრიული, მკვეთრი განათება და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემდეგ, როდესაც ამუშავდა იუპიესი, ჩართული დარჩა მხოლოდ ოთხი ნათურა და შესაბამისად განათებაც შემცირდა, თუმცა დარბაზში არ ბნელოდა.

6.9 მოწმის განცხადებით, 20:00 საათზე ყუთები ჯერ კიდევ არ იყო დალუქული. დ. ლ.-მ ზ. ხ.-ს უთხრა, რომ შუქი ქრებოდა, რაზეც ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია. დ. ლ.-მ ყოველგვარი ყვირილის გარეშე მოითხოვა, რომ სასწრაფოდ დაელუქათ ყუთები. ამის შემდეგ ყუთების დალუქვა მოითხოვა ზ. ხ.-ც და შემდეგ მიმართეს დაცვას, სთხოვეს მათ, მოეგროვებინათ ყუთები და ერთად დაელაგებინათ, რაც დაცვამ შეასრულა. აღნიშნულის შემდეგ დ. ლ. გავიდა გარეთ.

6.10 20:00 საათის შემდეგ, როდესაც ყუთები უნდა ყოფილიყო დალუქული, ერთ-ერთმა დამკვირვებელმა - დ. დ.-მ ჰკითხა ზ. ხ.-ს თუ სად იყო ბეჭედი, რომლითაც უნდა დაელუქათ აღნიშნული საარჩევნო ყუთები, რაზეც ზ. ხ. უპასუხა, რომ ბეჭედი ვიღაცას ედო მანქანაში და შემდეგ ერთ-ერთ პიროვნებას დაავალა ბეჭდის მოტანა. მოწმის განმარტებით, აღნიშნულ მომენტში ყუთებს იცავდა დაცვის პოლიცია.

6.11 შემდეგ მოხდა ინციდენტი, კერძოდ ერთ-ერთი ქალბატონი, მ. შესული იყო კაბინაში და ხაზავდა ბიულეტენებს, მას შემდეგ რაც შეწყდა ხმის მიცემის პროცედურები. მოწმის განცხადებით, მან რაც დაინახა, იყო მხოლოდ ის, რომ კამერებით მივიდნენ მ.-ის გადასაღებად, რაზეც ატყდა აყალ-მაყალი. კერძოდ უთითებდნენ, რომ მოცემულ ქალბატონს ეჭირა რამოდენიმე ბიულეტენი ხელში, სადაც შემოხაზული იყო ერთ-ერთი კანდიდატი - დ. ა.

6.12 მოწმემ განაცხადა, რომ მას გააჩნია ეჭვი უშუალოდ ზ. ხ. მიმართ, ვინაიდან მას შემდეგ, რაც გამოავლინეს დარღვევის ფაქტზე ის ორი ქალბატონი, რომლებზეც მას უკვე ჰქონდა ინფორმაცია, ზ. ხ. მოხსნა ისინი ხმის დამთვლელი კომისიის პოზიციიდან, გამოართვა მათ აღმოჩენილი ბიულეტენები და ჩაიდო ჯიბეში, რაც ასევე კარგად ჩანს გადაღებულ კადრებში, რის შემდეგაც მას აღარ დაუნახავს სად წავიდა იგი.

6.13 მოწმის განცხადებით, საარჩევნო პროცესი არ გამხდარა უმართავი, იქიდან გამომდინარე, რომ ზ. ხ. კომისიის თავმჯდომარესთან უშუალოდ მიდიოდა და გარკვეულ მითითებებს აძლევდა მას, ხელით ანიშნებდა, რამაც მოწმეს შეუქმნა ეჭვის საფუძველი, ვინაიდან კომისიის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი.

6.14 მოწმის განცხადებით, მან არ იცის, თუ საიდან ჰქონდა დ. ლ.-ს შუქის გამორთვის შესახებ ინფორმაცია. სავარაუდოდ მან მოცემული ფაქტის შესახებ გაიგო მისი კოლეგებისგან.

7. მოწმის ლ. ჯ.-ს განმარტება:

7.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ადვოკატმა, ლ. ჯ.-მ, 2018 წლის 4 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ დისციპლინურ კოლეგიას არ თვლის ლეგიტიმურად, იქიდან გამომდინარე, რომ საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში შეტანილი აქვს სარჩელი ადვოკატთა ასოციაციის წინააღმდეგ, თუმცა, მიუხედავად ამისა, განაცხადა მზაობა თანამშრომლობისათვის.

7.2 მოწმის განცხადებით, ხმის მიცემის პროცესის დასრულებისას, დ. ლ.-მ დაიძახა საკმაოდ ხმამაღლა, სავარაუდოდ ზ. ხ. მისამართით, რომ შუქი ქრებოდა, რა დროსაც მოწმე იმყოფებოდა საარჩევნო დარბაზში, ცენტრალურ ნაწილში, ხოლო მისგან ხელმარცხნივ, ტრიბუნაზე იმყოფებოდა დ. ლ. მოცემულ მითითებას ვინაიდან არანაირი რეაგირება არ მოყოლია, დ. ლ. ჩამოვიდა ტრიბუნიდან და მივიდა კომისიის თანამშრომლებთან და ითხოვდა ყუთების დალუქვას, ვინაიდან მისი ინფორმაციით სინათლე უნდა გამორთულიყო.

7.3 მოწმის განცხადებით, მოცემული ფაქტის პარალელურად მოხდა ინციდენტი, სადაც მონაწილეობდნენ ქალბატონები: თ. და მ.. მათ აღმოუჩინეს ბიულეტენები ცალკე, კერძოდ მ.-ს აღმოუჩინეს ბიულეტენები, სადაც შემოხაზული იყო დ. ა.-ის კანდიდატურა. შეიქმნა გაუგებრობა მოცემული ფაქტის გამო, რის ეპიცენტრშიც აღმოჩნდა ზ. ხ., ვინაიდან მან ჯიბეში შეინახა აღნიშნული ბიულეტენები და გაუჩინარდა. ასევე ქალბატონ თ.-ს აღმოუჩინეს ჩანთაში ბიულეტენები, რის გამოც აირია ვითარება და მოწმემ თვალი ვეღარ მიადევნა დ. ლ.-ს შემდგომ ქმედებებს.

7.4 მოწმის განმარტებით, მისმა ჯგუფმა აღნიშნული ფაქტები დააფიქსირა და გადაიღო ფოტოები, კერძოდ აღბეჭდეს გაყალბებისა და ზედმეტი ბიულეტენების არსებობის ფაქტები, ასევე ზ. ხ. მოქმედებები მოცემულ საკითხზე.

7.5 მოწმის განცხადებით, შენობაში განათება არ გათიშულა, დენის გათიშვის ფაქტი მისთვის ცნობილი გახდა მისი კოლეგებისგან, რომლებმაც უთხრეს, რომ ენერგო მომარაგება გადასული იყო ავტონომიური კვების წყაროზე. მოწმის განმარტებით თვითონ უშუალოდ არ დაუფიქსირებია განათების გამორთვა შენობაში, შესაბამისად ელექტროენერგიის გამორთვის ფაქტს ვერც დაადასტურებს და ვერც უარყოფს.

7.6 მოწმის განცხადებით, მისთვის უცნობია, თუ სად წაიღო ზ. ხ. აღნიშნული ჩამორთმეული ბიულეტენები. იგი ბოლომდე იმყოფებოდა საარჩევნო პროცესზე და იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს გადასცემდა ბიულეტენებს ზ. ხ.-ი, მაშინ დიდი ალბათობით იგი დაინახავდა, დააფიქსირებდა აღნიშნულ ფაქტს. თუმცა არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მას არ დაუნახავს თუ რა ბედი ეწია მოცემულ ბიულეტენებს.

7.7 მოწმემ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატებთან ერთად იმყოფებოდა მოედანზე მას შემდეგ, რაც დ. ლ.-მ განაცხადა ელექტროენერგიის გამორთვის თაობაზე და მოითხოვა საარჩევნო ყუთების დალუქვა რათა თავიდან აერიდებინათ მოსალოდნელი გაყალბების მცდელობა. სწორედ ამ მიზნით ჩავიდნენ დანარჩენი კანდიდატებიც ყუთებთან. თუმცა, წესით მათ არ ჰქონდათ ამის უფლება. მოწმის განცხადებით, ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატებთან (დ. ლ., ი. ჭ., ო. მ., დ. ე.) ერთად, მოედანზე ასევე იმყოფებოდნენ ეთიკის კომისიის, აღმასრულებელი საბჭოს წევრობის კანდიდატებიც.

8. მოწმის ნ. ლ.-ს განმარტება:

8.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ადვოკატმა, ნ. ლ.-მ, 2018 წლის 4 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ იგი უშუალოდ იყო ჩართული, როგორც წინასაარჩევნო, ასევე შემდგომ, არჩევნების პროცესშიც დ. ლ.-ს მხრიდან, კერძოდ კენჭს იყრიდა აღმასრულებელი საბჭოს წევრობის კანდიდატურაზე. მოწმის განცხადებით, იგი დილით 09:30 საათზე გამოცხადდა სპორტის სასახლეში, იმ ეტაპზე რეგისტრაცია ჯერ არ იყო დაწყებული. მოცემული მომენტიდან მოწმეს არ დაუტოვებია სპორტის სასახლის ტერიტორია ღამის 04:00 საათამდე და შესაბამისად განვითარებულ მოვლენებს უშუალოდ შეესწრო.

8.2 მოწმის განცხადებით, დაახლოებით 19:40 საათზე დ. ლ.-სთან ერთად იმყოფებოდა ტრიბუნაზე, დასრულებული იყო ხმის მიცემის პროცედურა, აღარ იყვნენ ამომრჩევლები შენობაში, რა დროსაც ზ. ხ. განაცხადა, რომ თავმჯდომარეობის კანდიდატების მოთხოვნით არჩევნების დასრულების დრო გადაიწია 20 წუთით და კენჭისყრა გაგრძელდებოდა 20:00 საათამდე. მიუხედავად იმისა, რომ დ. ლ.-ს და თავად მოწმეს არ უთხოვიათ სხდომის თავმჯდომარისთვის დროის გადაწევა, მაინც მშვიდად შეხვდნენ მოცემულ განცხადებას და მათი მხრიდან რაიმე გართულებას ადგილი არ ჰქონია.

8.3 მოწმის განმარტებით, 20:00 სთ ხდებოდა უკვე, როდესაც მას დაურეკა მისმა მეგობარმა - ვ. ლ.-მ, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი და შეეკითხა მას, დასრულდა თუ არა არჩევნები და შეეძლო თუ არა დაეფიქსირებინა საკუთარი ხმა, რაზეც მოწმემ დადებითად უპასუხა. როდესაც ვ. ლ. მივიდა მოწმესთან, საუბარში აღნიშნა, რომ დერეფანში ჩაქრა შუქი. ამ დროს დარბაზი განათებული იყო.

8.4 მოწმის განცხადებით, მოცემულ მომენტში მისი ყურადღება მიიქცია დ. ლ.-მ, რომელმაც შეშფოთებულმა ჩაირბინა ტრიბუნა და შევიდა მოედანზე პრეზიდიუმში ი. ნ.-სთან და ქ. ჯ.-სთან და უთხრა მათ, რომ ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა გარეთ და დაინტერესდა ჰქონდათ თუ არა რესურსი იმისა, რომ თავიდან აერიდებინათ მოსალოდნელო გართულება, რომელიც შესაძლოა გამოეწვია შუქის გამორთვას დარბაზში. ამაზე ი. ნ.-მ უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ მობილური ტელეფონები და შუქის გამორთვის შემთხვევაში გამოიყენებდნენ ფანრებს. მოწმემ განმარტა, რომ მოცემული საუბარი მას უშუალოდ არ გაუგია, ამის შესახებ მას შემდეგ უთხრა დ. ლ.-მ, როდესაც დაბრუნდა პრეზიდიუმიდან. მოწმის განმარტებით, ელექტროენერგიის გამორთვის ფაქტი მისთვის ცნობილი გახდა მისი მეგობრისაგან, ვ. ლ.-სგან, რომელიც ხმის მისაცემად იყო მისული მოცემულ მომენტში, ხოლო მის გუნდში მოცემული ინფორმაცია ცნობილი გახდა ს. ჯ.-ის მეშვეობით, რომელმაც დარეკა და იკითხა, რომ გარე პერიმეტრზე გამორთული იყო განათება და აინტერესებდა დარბაზში რა ხდებოდა.

8.5 მოცემული ფაქტის შემდეგ, ატყდა ხმაური და მოწმემ დაინახა, რომ ხალხის ყურადღება მიქცეული იყო ცენტრისკენ, სადაც გაისმა შემდეგი შეძახილი, „დალუქეთ ყუთები, სად არის სკოჩი“, რის შემდეგაც დაიწყო განათებამ ციმციმი და რამოდენიმე ნათურა ჩაქრა, ხოლო რამოდენიმე ნათურა ბჟუტავდა. მოწმის განმარტებით, შეძახილებიდან იცნო დ. და ლ-გ. ლ.-ს ხმები. დ. ლ. მოუწოდებდა დაცვას, რომ დაეცვათ ყუთები და ცალკე გადაეტანათ, რის განხორციელებასაც საკმაო დრო დასჭირდა. როდესაც ყუთები დაილუქა, იყო დაახლოებით 20:15 საათი.

8.6 მოწმის განცხადებით, განვითარებული მოვლენების პარალელურად, მან შეამჩნია, რომ კომისიის წევრების მაგიდასთან იჯდა ქალბატონი, გვარად თ. და აუღელვებლად ხაზავდა მაგიდაზე რაღაცას, მუშაობდა. შემდეგ ადგა, მიტრიალდა ზურგით და ჩანთაში ალაგებდა იმ ფურცლებს, რომლებზეც მანამდე რაღაცას წერდა. უფრო დაზუსტებით მოწმემ განაცხადა, რომ ეს ფურცლები

იყო ვარდისფერი ბიულეტენები, დაახლოებით ხუთი და მეტი. ამის შემდეგ მოწმემ დაუძახა დაცვას და უთხრა, რომ მიექციათ ყურადღება ქალბატონ თ.-სათვის, ხოლო შემდეგ განვითარებული მოვლენები მოწმის ერთ-ერთმა კოლეგამ გადაიღო მობილური ტელეფონის საშუალებით. დაცვამ თ.-თან მიიყვანა ქალბატონი ი. ჭ., რადგან ყველაზე ახლოს ის იმყოფებოდა შემთხვევის ადგილთან, რომელმაც გამოართვა თ.-ს ვარდისფერი ბიულეტენები, რომელიც შემდეგ მიიტანა მოწმესთან, სათითაოდ გაშალა და ნახეს, რომ შემოხაზული იყო პირველი ნომერი, ხოლო შემდეგ წაიღო კომისიის თავმჯდომარესთან, ვ. პ.-თან.

8.7 მოწმემ განაცხადა, რომ მომხდარ ფაქტზე ხმის დამთვლელი კომისიის გადაწყვეტილებით ადვოკატი მ. თ. მოხსნეს კომისიის წევრობიდან, რის შემდეგაც თ.-ს მიმართა ზ. კ.-მ და უთხრა „ეს როგორ გვკადრე, რატომ აღმოჩნდა შენს ხელში მოცემული ბიულეტენებიო“, რაზეც მ. თ.-ის პასუხი იყო შემდეგი: „რა გავაკეთე ასეთი, ეხლაც რომ დამჭირდეს, იგივეს გავაკეთებო“. მოწმის განმარტებით, მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა თ.-სა და მ.-ის ინციდენტები, საარჩევნო ყუთები დალუქული არ იყო.

8.8 მოწმის განცხადებით, იქამდე, სანამ ინციდენტები მოხდებოდა არჩევნებზე, მას კოლეგებმა უთხრეს, რომ ყურადღება მიექციათ კომისიის წევრი ქალბატონების ჩანთებისათვის, თუმცა მოწმემ ასევე განაცხადა, რომ მოცემული კოლეგების სახელები მისთვის უცნობია.

8.9 მოწმემ განმარტა, რომ მას შემდეგ რაც, დ. ლ. ჩავიდა მოედანზე პრეზიდიუმთან და აცნობა მოსალოდნელი ძაბვის ვარდნის შესახებ, შემდეგ მომხდარი ინციდენტების მერე მან დატოვა მოედანი. დ. ლ. სპორტის სასახლის დარბაზში 04:00 საათამდე იმყოფებოდა მის გუნდთან ერთად და აღარ შესულა მოედანზე. მოწმის განცხადებით, ინციდენტების შემდეგ მათთან მივიდა ზ. ხ. და თქვა: „ეს რა ქნეს, როგორ ჩამიშალეს ყველაფერი, როგორ ჩაშალეს გამჭირვალე არჩევნებიო.“

9. მოწმის რ. მ.-ის განმარტება:

9.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ადვოკატმა, რ. მ.-მა, 2018 წლის 4 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ 2017 წლის 09 სექტემბრის არჩევნებზე იმყოფებოდა დ. ლ.-ს გუნდში. ფორმალურად საზოგადოება განაწილებული იყო სამ ბანაკში, რომლებშიც ყველა ცდილობდა, რომ თავისი კანდიდატი გასულიყო. იგი იმყოფებოდა დ. ლ.-ს ბანაკში, სადაც ყველა ორიენტირებული იყო შემდეგზე, რომ არჩევნები ჩატარებულიყო სამართლიანად და გამჭვირვალედ. მოწმე გამორიცხავს, რომ დ. ლ.-ს სურდა არჩევნების ჩაშლა, იქიდან გამომდინარე, რომ დ. ლ.-ს ყოველი მოქმედება მიმართული იყო ხმების დასაცავად. როდესაც ტრიბუნაზე გაჟღერდა ინფორმაცია, რომ შუქი უნდა გამორთულიყო, დ. ლ.-მ მოწმეს უთხრა, რომ მისთვის მიწოდებული ინფორმაციით შუქი უნდა გამორთულიყო.

9.2 მოწმის განცხადებით, შუქის გამორთვის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, დ. ლ.-ს მიზანი იყო დაეცვა საარჩევნო ყუთები, რის გამოც მან მითითება მისცა თავის შვილს - ლ.-გ. ლ.-ს, რომელიც იმყოფებოდა დამკვირვებლად, რომ ყუთებთან დაეყენებინათ დაცვა. მოწმე უშუალოდ შეესწრო მოცემულ ფაქტს.

9.3 მოწმის განცხადებით, შემდეგ განათება შესუსტდა მომენტალურად, წამიერად, კვება გადავიდა იუპიესზე, შესაბამისად დარბაზში განათება არ გამორთულა, გამორთული იყო მხოლოდ დერეფნებში და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, სინათლის სიმკვეთრე აშკარად შემცირებული იყო.

9.4 მოწმის განცხადებით, ზ. ხ. საჯაროდ გამოაცხადა, რომ არჩევნები გააგრძელეს 20 წუთით და დასრულდებოდა 20:00 საათზე თავად კანდიდატების თხოვნით, რაზეც დ. ლ.-მ ხმამაღლა ჰკითხა რომელ კანდიდატებთან ჰქონდა შეთანხმებული დროის გადაწევა მაშინ როცა ყველა კანდიდატი დარბაზში იჯდა. მოწმის განმარტებით, მისთვის უცნობია თუ რომელ კანდიდატებთან შეათანხმა ზ. ხ. კენჭიყრის დროის გადაწევა.

9.5 მოწმის განცხადებით, მას შემდეგ, რაც დ. ლ.-მ განაცხადა შუქის მოსალოდნელი გამორთვის შესახებ, დაცვის თანამშრომლები დადგნენ ყუთებთან და უზრუნველყვეს მათი დაცვა. შემდეგ ბიულეტენების ჩაყრის მცდელობის ფაქტზე პიროვნებები დააფიქსირეს, შეიქმნა ქაოსური სიტუაცია, რაც კამერების მიერ არის დაფიქსირებული. კერძოდ ჩანაწერში ჩანს, რომ ი. ჭ.-მ ვიღაცას ჩამოართვა ბიულეტენები, რადგან ცდილობდა ყუთში ჩაყრას, ვიღაც პიროვნებები დაიჭირეს, მაგრამ ესენი არ იყვნენ დ. ლ.-ს გუნდიდან.

9.6 მოწმის განცხადებით, მანამდე მათთვის არავის მიუწოდებია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგეგმებოდა არჩევნების გაყალბება და ყუთებში ბიულეტენების ჩაყრა. მსგავსი ინფორმაცია რომ გაჟღერებულიყო გუნდში, მისთვის აუცილებლად იქნებოდა ცნობილი.

9.7 მოწმის განცხადებით, დ. ლ.-ს განცხადების შედეგად ჟურნალისტები გააქტიურდნენ და დაიწყეს მოძრაობა, დაცვა დადგა ყუთებთან, ხოლო თავად დ. ლ. წავიდა პირდაპირ ცენტრისაკენ, მოედნის შუაგულისკენ, სადაც მას თან ახლდნენ ჟურნალისტები, რომლებთანაც იგი აპროტესტებდა შუქის გამორთვის ფაქტს.

9.8 მოწმის განცხადებით, დ. ლ.-სათვის შუქის მოსალოდნელი გათიშვის ფაქტი ცნობილი გახდა მათი გუნდის წევრი ქალბატონი ადვოკატის მიერ, რომლის სახელი და გვარიც მისთვის უცნობია, ვინაიდან, რადგან მართლა გამოირთო შუქი, მოწმემ საჭიროდ აღარ ჩათვალა ფაქტების გადამოწმება. მოწმემ განაცხადა, რომ ინფორმაცია შუქის გამორთვის შესახებ გაჟღერებული იყო გუნდის ერთ-ერთი წევრის მიერ, რომელსმაც თავის მხრივ, გარედან მიიღო ინფორმაცია. მან აღნიშნული პიროვნების სახელი არ იცის. შემდეგ როგორც გაირკვა, მოცემულ მომენტში ელექტროენერგია გამორთული იყო უკვე, სპორტის სასახლის დერეფნები იყო ჩაბნელებული, ასევე შუქი გამორთული იყო გარეთაც, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

9.9 მოწმემ განაცხადა, რომ დ. ლ. პირდაპირ წავიდა ცენტრისკენ და გააპროტესტა შუქის მოსალოდნელი ჩაქრობა. მოწმის განცხადებით, დაცვა ფლობდა ინფორმაციას, რომ სპორტის სასახლე აღჭურვილი იყო გენერატორებით და შუქის ჩაქრობის შემთხვევაში ის ავტომატურად ჩაირთვებოდა.

10. მოწმის ი. ჭ.-ს განმარტება:

10.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ადვოკატმა ი. ჭ.-მ, 2018 წლის 12 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ იგი არჩევნებში მონაწილეობდა, როგორც თავმჯდომარეობის კანდიდატი.

10.2 მოწმის განმარტებით, კენჭისყრის პროცესი არჩევნებზე მშვიდად მიმდინარეობდა, თუმცა ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა დარბაზში ჩამქრალიყო ელექტროენერგია, რაც გააჟღერა დ. ლ.-მ. დ. ლ.-ს მიერ ინფორმაციის გაჟღერებას მოყვა დარბაზში არეულობა და რამდენიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, როგორიც იყო კომისიის ორი ქალბატონი წევრისთვის ერთი კანდიდატის სასარგებლოდ ზედმეტი ბიულეტენების აღმოჩენა. არჩევნების მსვლელობისას მან მიიღო ინფორმაცია, რომ კომისიის ერთ-ერთ წევრს

ჰქონდა ზედმეტი ბიულეტენები, იგი მივიდა კომისიის აღნიშნულ წევრთან და აღნიშნული ბიულეტენები მან თავად ამოიღო წევრის ჩანთიდან.

10.3 მოწმის განმარტებით, ყუთების დალუქვა მოჰყვა დ. ლ.-ს გაცხადებას, მანამდე ყუთები დალუქული არ ყოფილა, თუმცა ხმის მიცემის პროცესი დასრულებული იყო. სხდომის თავმჯდომარემ გაიზიარა დ. ლ.-ს მოწოდება და დაცვას მოუწოდა ყუთების დალუქვისკენ.

10.4 მოწმის განმარტებით, მას არ ახსოვს შეიცვალა თუ არა განათება დარბაზში, თუმცა ელექტროენერგია დარბაზში არ გამორთულა.

11. მოწმის თ. ე.-ის განმარტება:

11.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ადვოკატმა, თ. ე.-მ, 2018 წლის 4 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მან კოლეგებისგან მიიღო ინფორმაცია სპორტის სასახლის მიმდებარედ ელექტროენერგიის გამორთვის შესახებ. თავად ზუსტად არ ახსოვს შეიცვალა თუ არა დარბაზში განათება, მაგრამ ადვოკატები აღნიშნავდნენ, რომ დარბაზში განათებამ იკლო.

11.2 მოწმის განმარტებით, ყველა დაინტერესებული იყო არჩევნების კანონიერად ჩატარებით და ელექტროენერგიის შესაძლო ჩაქრობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით გაჩნდა ეჭვი, რომ საფრთხე შეექმნებოდა არჩევნების ლეგიტიმურობას და დარბაზში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა.

11.3 მოწმის განმარტებით, მას ყუთში ზედმეტი ბიულეტენის ჩაგდების ფაქტი არ დაუნახია, თუმცა ხმის დამთვლელი კომისიის ორი წევრის მხრიდან განხორციელებულმა დარღვევებმა არჩევნების პროცესში არეულობა გამოიწვია, რასაც მოჰყვა ამ წევრთა მოხსნა კომისიიდან.

11.4 მოწმის განმარტებით, მას არ შეუნიშნია ადვოკატ დ. ლ.-ს მხრიდან არაეთიკური ქცევები. რაც შეეხება დ. ლ.-ს მიერ გამოთქმულ ვარაუდს ელექტროენერგიის შესაძლო გამორთვის შესახებ, იგი გაიზიარა ადვოკატთა საერთო კრების თავმჯდომარემ, დ. ლ.-ს ამ განცხადების შემდეგ დაილუქა ყუთები და დასრულდა ხმის მიცემის პროცესი.

12. მოწმის ნ. გ.-ის განმარტება:

12.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ადვოკატმა ნ. გ.-მა, 2018 წლის 4 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ 2017 წლის 09 დეკემბერს იმყოფებოდა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებზე, სადაც მისი და იყრიდა კენჭს.

12.2 მოწმის განცხადებით, არჩევნების ბოლოს, მას შემდეგ, რაც ამომრჩევლების უმეტესმა ნაწილმა დატოვა შენობა, ადგილზე დარჩნენ მხოლოდ თავმჯდომარეობის კანდიტატები და მათი შტაბის წევრები. მათ შორის იყო დ. ლ., ლ. ჯ., ასევე დ. ა.-ის გუნდის წევრები.

12.3 მოწმის განმარტებით, გარკვეული პერიოდი, გარეთ იყო გასული და როდესაც ბრუნდებოდა დარბაზში, მომენტალურად განათება გამოირთო და შემდეგ ისევ ჩაირთო. შემდეგ, როდესაც მოწმე ჩადიოდა კიბეზე, მოესმა დ. ლ.-ს ხმა, რომელიც უთითებდა ჩვეული ტონით, რომ ელექტროენერგია ითიშებოდა და მოუწოდებდა დაცვას დაეცვათ საარჩევნო ყუთები. მოწმე ჩავიდა დარბაზში სიტუაციის გასარკვევად, პარალელურად დაურეკა თავის დას და უთხრა, რომ მალე დაბრუნებულიყო დარბაზში. დასთან საუბარში მოწმემ გაარკვია, რომ შენობის გარშემო, მიმდებარე ტერიტორიაზეც გამორთული იყო ელექტროენერგია და მხოლოდ შენობის დარბაზში

იყო ჩართული შედარებით სუსტი განათება, რადგან სავარაუდოდ განათება გადასული იყო ალტერნატიულ კვებაზე. მოცემული ფაქტი ასევე დაადასტურა ზ. ხ..

12.4 მოწმის განმარტებით, მოცემულ ფაქტზე დაპირისპირება გაგრძელდა ტელევიზიის საშუალებით, თუმცა ზ. ხ. განცხადებებს დ. ლ.-მ დუმილით უპასუხა. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ზ. ხ. ფეისბუქის საშუალებით გამოაქვეყნა პოსტი, სადაც უთითებდა, რომ დ. ლ. უნდა გარიცხულიყო ადვოკატთა ასოციაციის რიგებიდან, რაზეც მოწმეს ჰქონდა უარყოფითი რეაქცია და უთხრა მას შემდეგი, რომ თუ დ. ლ.-ს უჩივლებდა ეთიკის კომისიაში, მაშინ, ასევე უნდა შეეტანა საჩივარი დ. მ.-სა და მ. თ.-ის წინააღმდეგაც, ვინაიდან სწორედ მათ გამო განვითარდა შემდგომში მოვლენები ნეგატიურად.

12.5 მოწმის განცხადებით, ელექტროენერგიის გათიშვის შემდეგ, ზ. ხ. განაცხადა, რომ კანდიდატების თხოვნით 20 წუთით გადაწევდნენ არჩევნების დასრულების დროს, რის შემდეგაც დ. ლ. შეეკითხა: „რომელმა კანდიდატებმა გთხოვეს დროის გადაწევა, მე არ მითხოვია თქვენთვის 20 წუთით დროის გადაწევაო“.

12.6 მოწმის განმარტებით, მოცემულ მოვლენებს არანაირი გართულება არ მოყოლია იქამდე, სანამ არ მოხდა ინციდენტი მ. თ.-ის და დ. მ.-ის მონაწილეობით. კერძოდ მოწმემ აღნიშნა, რომ ის იჯდა მოედანთან ახლოს და კარგად ხედავდა არსებულ სიტუაციას. მან დაინახა, რომ ვიღაც შევიდა საარჩევნო კაბინაში და თან შეიტანა ქაღალდის ყუთი, რაზეც სხვა პიროვნებამ მიუთითა, რომ მიექციათ ყურადღება მისთვის და გაერკვიათ რა შეიტანა კაბინაში. ასევე მეორე რიგში იჯდა ადვოკატი მ. ლ., ასევე სხვა პიროვნებებიც, რომლებმაც ასევე მიუთითეს მოცემულ ფაქტზე და მოითხოვეს რეაგირება.

12.7 მოწმის განმარტებით, ამის შემდეგ მოხდა დარღვევის ფაქტის გამოვლინება და მოწმემ დაინახა, რომ მ. თ.-ს და დ. მ.-ს ჩამოართვეს გარკვეული ქაღალდები, რომლებიც შემდეგ ზ. ხ.-ს ეკავა ხელში. მზია აპროტესტებდა და უთითებდა, რომ ხაზავდა თავის ბიულეტენს და მას ხელი შეუშალეს, თუმცა მას შემდეგ ჩანთიდან ამოუღეს ბიულეტენები. დ. მ. და ზ. ხ. იდგნენ ერთად და მოწმის განცხადებით მას არ დაუნახავს ბიულეტენები უშუალოდ დ. მ.-ის ხელში. როგორც მოწმემ აღნიშნა, ბიულეტენები ეკავა ზ. ხ.-ს. მოგვიანებით ზ. ხ. ამტკიცებდა, რომ მოცემულ ქალბატონებს მასთან არანაირი შეხება არ ჰქონია, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

12.8 მოწმის განცხადებით, საარჩევნო პროცესს ესწრებოდა ადვოკატთა ძალიან დიდი რაოდენობა. ხმას რომ დააფიქსირებდნენ, შემდეგ გარკვეული პერიოდი რჩებოდნენ მოედანზე. მათ შორის იყო ზ. ხ. და ასევე აღმასრულებელი საბჭოს სხვა წევრებიც. ასევე იყვნენ კანდიდატებიც მოედანზე და ისინი იცავდნენ საკუთარ ხმებს გაყალბებისაგან. დამკვირვებლებიც იმყოფებოდნენ დარბაზში, თუმცა არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, რთული იყო კონკრეტული დარღვევების აღბეჭდა და ისინი ორიენტირებულნი იყვნენ საარჩევნო ყუთების მეთვალყურეობაზე.

12.9 მოწმის განაცხადა, რომ ყუთები დროულად დაილუქა და ყუთებში ზედმეტი ბიულეტენები არ ჩაყრილა. მან ასევე მიუთითა, რომ არჩევნების გაყალბება არ შედიოდა არც ერთი კანდიდატის ინტერესებში, ვინაიდან მათი მთავარი მიზანი იყო გაფრთხილებოდნენ ადვოკატთა ასოციაციის იმიჯს საზოგადოებაში.

12.10 მოწმის განცხადებით, ელექტროენერგიის გათიშვის შესახებ ინფორმაცია, სავარაუდოდ ადვოკატმა ნ. ქ.-მ აცნობა დ. ლ.-ს, ვინაიდან როდესაც მოწმე შედიოდა დარბაზში, დაინახა თუ როგორ მივიდა ერთ-ერთი ადვოკატი დ. ლ.-სთან. ამ დროს მოწმის უკან კორიდორში გამოირთო განათება და ისევ მომენტალურად ჩაირთო. მოწმემ როგორც შემდეგ გაარკვია, ეს ადვოკატი იყო ნ. ქ.

13. **მოწმის თ. გ.-ის განმარტება:**

13.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა მოწმემ, თ. გ.-მა, 2018 წლის 4 სექტემბერს ადვოკატთა ასოციაციის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ 2017 წლის 09 სექტემბრის არჩევნებზე ის კენჭს იყრიდა დ. ლ.-ს გუნდიდან.

13.2 მოწმის განცხადებით, კრების მიმდინარეობისას მიზანმიმართულ უკანონო ქმედებებს და ვინმეს მიერ არჩევნების ჩაშლის მცდელობას ადგილი არ ჰქონია. არჩევნების მიმდინარეობისას წარმოდგენილი იყო დ. ლ.-ს გუნდი, მეორე სექტორში წარმოდგენილი იყო ლ. ჯ.-ს გუნდი, ასევე იყვნენ სხვა ადამიანები და შესაბამისად უამრავი ადვოკატი შეესწრო სპორტის სასახლეში განვითარებულ მოვლენებს.

13.3 მოწმის განცხადებით, ის გასული იყო მარკეტში, სპორტის სასახლის გვერდით, რა დროსაც მას დაურეკა მისმა დამ - ნ. გ.-მა და უთხრა, რომ თუ რვა საათზე არ იქნებოდა სპორტის სასახლის დარბაზში შესული, ვეღარ შეძლებდა შესვლას. მარკეტში ყოფნა მოწმეს დიდხანს მოუხდა, ვინაიდან ელექტროენერგია იყო მარკეტში გამორთული. მოწმე დაახლოებით 19:50 საათზე დაბრუნდა დარბაზში. დარბაზში შესვლისას მოწმემ დააფიქსირა, რომ განათება შესუსტებული იყო. მოწმეს დ. ლ.-სთან კომუნიკაცია არ ჰქონია, ხოლო გარეთ შუქის გამორთვის ფაქტზე მოუყვა საკუთარ დას - ნ. გ.-ს.

13.4 მოწმის განცხადებით, მისი გუნდის წევრები, ი. მ. და ნ. ქ. გასულები იყვნენ გარეთ საჭმელის მოსატანად და მათ აცნობეს გუნდს შუქის გამორთვის შესახებ დახლოებით 19:30 საათზე. კერძოდ, ნ. ქ. მივიდა გუნდის წევრებთან და აცნობა მოცემული ფაქტი. იმის შემდეგ, რაც ნ. ქ.-მ აცნობა გუნდის წევრებს, რომ შუქი არ იყო, დ. ლ. მივიდა სცენასთან.

13.5 მოწმის განცხადებით, მოცემულ მომენტში ზ. ხ.-მა განაცხადა, რომ აპირებდნენ არჩევნებზე დროის - 20 წუთის დამატებას, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ადვოკატი ვერ ასწრებდა მოსვლას, რაზეც დ. ლ.-მუპასუხა, „ნეტავ ვინ გთხოვა დროის გადაწევა, ყველა კანდიდატი აქა ვართო“.

13.6 მოწმის განცხადებით, სანამ დ. ლ. მივიდოდა სცენასთან, მანამდე მოწმემ დაინახა დ. მ., ასევე დაინახა მ. თ., რომელმაც ამოიღო ჩანთიდან რაღაც, დადო მაგიდაზე, კალმით რაღაცა მოინიშნა და გაემართა საარჩევნო ყუთისაკენ ფურცლის ჩასაშვებად. ამის გამო მოწმემ მოიკითხა, როგორც დ. ლ., შემდეგ მათი გუნდის დამკვირვებელი - ლ.-გ. ლ. და შემდეგ ჩავიდა დაბლა ტრიბუნიდან, თუმცა მოედანზე არ შესულა და გააპროტესტა მოცემული ფაქტი.

13.7 მას შემდეგ, რაც დ. ლ. შევიდა მოედანზე და გააპროტესტა შუქის გამორთვის ფაქტი, მოედანზე შევიდა ლ. ჯ.-ც. ამ დროს ზ. ხ. ესაუბრებოდა სცენაზე მარჯვენა მხარეს დამკვირვებელს რომელიც იყო ანაფორით. შემდეგ ლ. ჯ.-ს გუნდიდან აყვირდა ზ. კ., ასევე გადავიდა მოედანზე ქ. ქ., დ. ა.-ს ეძახდნენ, მაგრამ არ შესულა მოედანზე. მოედანზე ამ დროს იმყოფებოდა ი. ჭ.-ც. მოცემულ ფაქტებს აშუქებდა ტელევიზია.

13.8 მოწმის განცხადებით, დ. ლ.-მ მოითხოვა, რომ ყუთების დალუქვას აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის ყველა კანდიდატი, რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი გართულებები.

13.9 მოწმის განცხადებით, როდესაც დ. ლ. მივიდა სცენაზე და ზ. ხ.-ს ჰკითხა, თუ რატომ ჰქონდათ დ. მ.-სა და მ. თ.-ს ბიულეტენები, ზ. ხ. გამოართვა აღნიშნული ბიულეტენები მ. თ.-ს, ხოლო დ. მ.-ს უშალოდ ხელში არ ეკავა, არამედ ამოიღეს მისი კუთვნილი ჩანთიდან, რა დროსაც ქ. ქ.-მ დაუძახა ზ. ხ.-ს და ჰკითხა მას თუ ვინ იყვნენ ის ქალბატონები. ზ. ხ. მათთან ნაცნობობა უარყო, რაზეც

მოწმემ უთხრა მას, რომ არ ამბობდა სიმართლეს, ვინაიდან სოციალური ქსელის მეშვეობით ჰქონდა ფოტო ნანახი, სადაც ზ. ხ. დ. მ.-თან ერთად იყო გადაღებული.

13.10 მოწმის განცხადებით, აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, მ. თ. მივიდა და დაჯდა ფლიგელში დ. ლ.-ს და ლ. ჯ.-ს გუნდებს შორის და იქცეოდა გამომწვევად. ამის გამო მ. თ.-ს სთხოვეს რომ დაეტოვებინა მოცემული ადგილი და იგი ქ. უ.-მა გაიყვანა.

13.11 მოწმის განცხადებით, მას როგორც ახსოვს დ. მ.-ის ჩანთიდან ამოიღეს ბიულეტენები ი. ჭ.-ს ინიციატივით, რადგან იგი მოუწოდებდა დამკვირვებლებს, რომ შეემოწმებინათ დ. მ.-ის ჩანთა. მ. თ.-ს ზ. ხ. ჩამოართვა ბიულეტენები, ხოლო დ. მ.-ს ვინ ჩამოართვა ბიულეტენები მოწმეს არ ახსოვს. რაც ახსოვს არის ის, რომ ბოლოს ზ. ხ. ხელში იყო აღნიშნული ბიულეტენები. მოწმის განცხადებით, მოცემული მოვლენების შემდეგ იგი ეწეოდა სიგარეტს, რა დროსაც საპირფარეშოდან ამოდიოდა ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც ამჟამად არის მმართველი ორგანოს წევრი და მოწმემ გაიგონა როგორ თქვა მან ტელეფონზე საუბრისას: „იცი რა, მართალია შუქი ჩაქრა, მაგრამ იუპიესი ძალიან მალე ჩაირთოო“.

14. მოწმის ადვოკატ ე. ხ.-ის განმარტება:

14.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ადვოკატმა, ე. ხ.-მ, 2018 წლის 12 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ ის წარმოადგენდა დ. ლ.-ს გუნდის წევრს. მას ზუსტად არ ახსოვს შუქის შაქრობის დეტალები, თუმცა იცის, რომ შუქი ჩაქრა, ეს რამდენიმე ათეულმა ადვოკატმა თქვა მაშინ, როცა დარბაზში იყო. რამდენიმე ქალბატონმა ადვოკატმა თქვა, რომ გარეთ ჩაქრა შუქი. სხვა კანდიდატის მხარდამჭერებიც ადასტურებდნენ შუქი ჩაქრობას. შუქის ჩაქრობას ნეგატიური რეაქციები მოყვა, გაჩნდა ეჭვი რომ ეს საფრთხეს შეუქმნიდა არჩევნების კანონიერებას. მოწმეს ზუსტად არ ახსოვს რა ღონისძიებები გატარდა, თუმცა გაკეთდა განცხადებები ამ ფაქტის გამო და იყო იმის მცდელობა, რომ ყველაფერი კანონიერად ჩატარებულიყო და წონასწორობა არ დაეკარგა არჩევნების პროცედურების კანონიერებას.

14.2 კენჭისყრის პროცედურის დროს მოწმემ დაინახა, რომ რამდენიმე ადამიანი პარკებით შევიდა მოედანზე და არჩევნების პროცედურაში ჩართულ პირებს გადასცეს პარკები, თუმცა მოწმემ არ იცის რა იდო შიგნით. მოგვიანებით დაინახა ორი ქალბატონი ადვოკატი, რომელიც ბიულეტენების დასტით დაიჭირეს. ეს ფაქტები დაინახა დ. ლ.-ს შვილმა და სხვა დამკვირვებელმა გოგონამ. ამ ფაქტს ადვოკატთა მხრიდან ნეგატიური ემოციები მოჰყვა, დაიძაბა სიტუაცია, რადგან კომისიის წევრები ცდილობდნენ არჩევნების გაყალბებას. ამ ექსცესის მერე ბევრი კანდიდატი გავიდა მოედანზე. მოწმეს ზუსტად არ ახსოვს დ. ლ. იმყოფებოდა თუ არა მოედანზე, თუმცა დ. ლ.-ც, ზ. ხ.-ც, ი. ჭ.-ც აქტიურად გამოხატავდნენ საკუთარ პოზიციას მიმდინარე პროცესზე.

14.3 მოწმის შეფასებით, დ. ლ.-ს მოქმედებაში მას არ შეუმჩნევია ისეთი ქცევა, რომელიც დაარღვევდა ეთიკის კოდექსს ან კანონს. არჩევნების მიუხედავად მათი გუნდი კოლეგიალური იყო როგორც წინასაარჩევნო, ასევე საარჩევნო პროცესის დროს.

14.4 მოწმის განმარტებით, მას ყუთში ზედმეტი ბიულეტენის ჩაგდების ფაქტი არ დაუნახია, თუმცა ერთ-ერთი ადვოკატი ქალბატონი, რომელსაც ზედმეტი ბიულეტენები აღმოუჩინეს, ძალიან ახლოს იდგა ყუთთან.

14.5 მოწმის განმარტებით, მისთვის ცნობილი არ გამხდარა წინასწარ, რომ იგეგმებოდა არჩევნების გაყალბება. მოწმეს არ მიუქცევია ყურადღება შეიცვალა თუ არა განათება დარბაზში.

15. მოწმის ადვოკატ ნ. ქ.-ს განმარტება:

15.1 დ. ლ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით მოწვეულმა ადვოკატმა ნ. ქ.-მ, 2018 წლის 12 სექტემბერს ადვოკატთა ასოციაციის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ ხმის მიცემის პროცედურების დასრულებამდე ზ. ხ., რომელიც საერთო კრებას წარმართავდა აღნიშნა, რომ მას დაუკავშირდა რამდენიმე კოლეგა, რომელთაც სთხოვეს გარკვეული დროით ხმის მიცემის პროცედურის გაგრძელება, ვინაიდან სურდათ არჩევნებში მონაწილეობა. ამ დროს რვა საათს ეკლდა წუთები. სხდომის თავმჯდომარემ ითხოვა ხმის მიცემის პროცედურის 15-20 წუთით გახანგრძლივება. ამაზე პრეტენზია არავის გამოუთქვამს ხმამაღლა.

15.2 მოწმის განმარტების ის გარეთ იყო, როდესაც სპორტის სასახლის მიმდებარედ და ფოიეში ელექტროენერგია გაითიშა. როდესაც დარბაზში შემოვიდა განათების ხარისხი შესუსტებული იყო, დარბაზი აღარ იყო სრულად განათებული. განათების შესუსტების მიუხედავად ხილვადობა შენარჩუნდა. დარბაზში შემოსვლის შემდეგ ნ. ქ.-მ კოლეგებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სპორტის სასახლის მიმდებარედ არ იყო ელექტროენერგია. იქ იდგა დ. ლ.-ც. მოწმის განმარტებით, მან თქვა, რომ გარეთ შუქი არ იყო და დარბაზშიც შესუსტებული იყო. კოლეგებს გაუკვირდათ, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ გარეთ შუქი არ იყო. ეს გაიგო დ. ლ.-ც. შუქის თემამ დ. ლ.-ში და სხვა კოლეგებში გამოიწვია შეშფოთება, თან ამას დაემთხვა გამოცხადება კენჭისყრის დროის ზრდაზე და ადვოკატებს შეეშინდათ რომ შეიძლება დარბაზშიც ჩამქრალიყო შუქი. ამას მოყვა დ. ლ.-ს მოწოდება, რომ რას ელოდებოდნენ, დაელუქათ ყუთები, შესაძლოა დენი ჩამქვრალიყო. ეს მოწოდება სავარუდოდ მიზნად ისახავდა არჩევნების დაცვას, რომ პროვოკაციებს ადგილი არ ჰქონოდა. კრების თავმჯდომარე ამ მოწოდებას დათანხმდა და ისიც მოუწოდებდა დაცვას დამდგარიყვნენ ყუთებთან და დაწყებულიყო ყუთების დალუქვის პროცესი.

15.3 მოწმის განმარტებით, არჩევნების ჩაშლის მცდელობას ადგილი არ ჰქონია, პირიქით ადვოკატების მიზანი იყო არჩევნების კანონიერებაზე დენის ჩაქრობას გავლენა არ მოეხდინა და ის ხმები, რომელიც მანამდე კანონიერად იყო მოპოვებული, დაცულიყო და დათვლილიყო პროცედურის შესაბამისად.

15.4 მოწმის განმარტებით, დ. ლ.-ს მოწოდება ეხებოდა ყუთების დალუქვას. სხდომის თავმჯდომარე ამას დაეთანხმა, დაცვა განლაგდა ყუთებთან და შემდეგ დაიწყო ყუთების დალუქვა.

15.5 მოწმის განმარტებით, როდესაც დენის თემა წამოიჭრა მაგიდასთან კომისიის ორი წევრი ქალბატონი შეამჩნიეს, რადგან მათ დოკუმენტებთან ზედმეტად ურთიერთობდნენ. ერთ-ერთ დამკვირვებელს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ენახათ რას აკეთებდნენ კომისიის წევრები, რა ბიულეტენები ედოთ, რა ედოთ პარკებში. ერთ-ერთი დამკვირვებელი სხვა დამკვირვებელთან ერთად მივიდა ამ ქალბატონებთან და მან ნახა სხვებთან ერთად დარღვევის ფაქტები, ი. ჭ.-ც იქ იყო და ის იყო აღშფოთებული. ყუთების დალუქვაზე კეთდებოდა განცხადებები, როცა კომისიის აღნიშნულ ორ წევრს აღმოუჩინეს მხოლოდ ერთი კანდიდატის მხარდამჭერი რამდენიმე ბიულეტენი. ამას მოყვა ადვოკატებში დიდი უკმაყოფილება, ჟურნალისტებმა ეს ფაქტები გააშუქეს. მოწმემ აღნიშნა, რომ ეს ბიულეტენები არ ჩავარდნილა ყუთში. ყუთში ბიულეტენების ჩაგდებაზე მანამდე სხვა ფაქტიც არ დაფიქსირებულა. ეს ქალბატონები დროის ახლო მონაკვეთში დააფიქსირეს.

15.6 მოწმის განმარტებით, მოედანზე ი. ჭ.-ს გარდა იმყოფებოდნენ სხვა კანდიდატებიც, ლ. ჯ., დ. ლ., დ. ა. არ ყოფილა. მოწმე არ იცნობს საარჩევნო რეგლამენტს და არ იცის კანდიდატს რამდენად ჰქონდა

იქ ყოფნის უფლება, თუმცა მათი შესვლა ემსახურებოდა ყუთების დალუქვას, რათა არჩევნების კანონიერებას საფრთხე არ შექმნოდა.

15.7 მოწმის განმარტებით, გუნდში ისაუბრეს იმ ორი ქალბატონის მიმართ მიემართათ თუ არა ეთიკის კომისიისთვის საჩივრით, თუმცა არ ფლობს ინფორმაციას შეიტანეს თუ არა საჩივარი კომისიაში.

15.8 მოწმის განმარტებით, დ. ლ.-მ განცხადება ელექტროენერგიის შესაძლო გამორთვის თაობაზე გააკეთა ხმამარღლა. იმ ეტაპზე ყველას გაუჩნდა სურვილი ყუთები დალუქულიყო, რადგან ფარულ კენჭისყრაში მონაწილე ადვოკატთა ნაკადი დასრულებული იყო. მოწმე დ. ლ.-ს მოქმედებას ვერ შეაფასებს საარჩევნო პროცესის დაძაბვად, ვინაიდან მის მოწოდებას ყუთების დალუქვის თაობაზე დაეთანხმა კრების თავმჯდომარეც, სხვაც არ შეწინააღმდეგებია და დაცვის თანამშრომლები განლაგდნენ ყუთებთან. ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა მთელი იმ დღის შრომა და მთელი საარჩევნო პროცესი.

16. კოლეგიის მიერ განხორციელებული მოქმედება:

16.1 კოლეგიას 2018 წლის 09 ოქტომბერს წერილობით მომართა ადვოკატმა დ. მ.-მა. ადვოკატმა განმარტა, რომ როგორც მისთვის ცნობილი გახდა იხილებოდა საჩივარი 2017 წლის 9 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებზე დაფიქსირებულ შემთხვევებზე. გარკვეულ მედია სიუჟეტებში დაფიქსირებული იყო მისი სახელი და გვარი, ვინაიდან იყო ხმის დამთვლელი კომისიის წევრი. ადვოკატის განმარტებით, მას სურვილი ჰქონდა გამოკითხულიყო და მიეცა სწორი განმარტება მასთან მიმართებაში არსებულ პრეტენზიებზე.

16.2 ადვოკატ დ. მ.-ის განცხადება გაეგზავნა ზ. ხ.-ს, რომელმაც 2018 წლის 4 დეკემბერს წერილობით განმარტა, რომ ადვოკატ დ. მ.-ის წინააღმდეგ არ შეუტანია საჩივარი და მისთვის გაუგებარია თუ საიდან გაიგო ადვოკატმა დ. მ.-მა ეთიკის კომისიაში მიმდინარე წარმოების დეტალები. ზ. ხ. განცხადებით, მას ადვოკატ დ. მ.-ის განცხადების საფუძველზე არ ჰქონდა სურვილი გაეკეთებინა განცხადება ან დაეყენებინა შუამდგომლობა.

II სამოტივაციო ნაწილი

17. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

17.1 ადვოკატი დ. ლ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №---/, სპეციალიზაცია - საერთო.

17.2 ზ. ხ. განცხადება ეთიკის კომისიაში დარეგისტრირდა 2018 წლის 6 თებერვალს.

17.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის 9 დეკემბერს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

18. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ლ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

19. სამართლებრივი შეფასება:

19.1 ზ. ხ.-ის პრეტენზია ადვოკატ დ. ლ.-სთან მიმართებაში გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა დ. ლ.-მ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და მმართველი ორგანოების არჩევნების დღეს, 2017 წლის 9 დეკემბერს, მისი ქცევით შელახა პროფესიის ღირებულებები.

19.2 ეთიკის კომისიამ საჩივარი გამოიკვლია იმ ადვოკატის მიმართ და იმ ფაქტების ფარგლებში, რომლის შეფასებაც საჩივრის ავტორმა, ზ. ხ.-მა მოითხოვა. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ლ.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

აპეკ-ის მე-7 მუხლი: *,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსებები და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“*

19.3 ადვოკატი, როგორც თვითრეგულირებადი და თავისუფალი პროფესიის პირი, ქცევით ხელს უნდა უწყობდეს ადვოკატთა როლის გაძლიერებას მართლმსაჯულების სისტემაში და საზოგადოების ნდობის მოპოვებას ადვოკატის პროფესიის მიმართ. ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მე-12 მუხლის თანახმად, ,,ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად.“ ადვოკატის პროფესიული როლის გაძლიერებისთვის ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ადვოკატთა სახელმძღვანელო ღირებულებებად განსაზღვრავს: კანონიერებას; სამართლის უზენაესობას და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელებას; პროფესიულ კომპეტენტურობას; ადვოკატის კეთილსინდისიერებას, კარგ რეპუტაციას და იურიდიული პროფესიის პატივისცემას; საადვოკატო საქმიანობის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას; ადვოკატთა თანასწორობასა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობას; საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობას; ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემასა და დაცვას; ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობას, გარდა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვას; ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას.

19.4 საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ადვოკატთა პროფესიული კოდექსი მიზნად ისახავს განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივის სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულა).

19.5 ადვოკატთა მიმართ არსებული პროფესიული ქცევის მოთხოვნები არ შემოიფარგლება მხოლოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესით და ვრცელდება ადვოკატებს შორის ურთიერთობებზე. ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში, როგორიცაა კოლეგიალობის პრინციპი, სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება, პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება. ადვოკატის ქცევა უნდა პასუხობდეს ადვოკატის

მაღალ როლს საზოგადოებაში, მისი მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატის პროფესიულ ღირსებას, ეთიკის სტანდარტებს, რომლის დაცვაზეც უნდა ზრუნავდეს ადვოკატი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, 2015 წლის 6 მაისი, დს-შ/5-15).

19.6 ადვოკატს კოლეგების მიმართ განსაკუთრებული ვალდებულებები აქვს, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ დააზიანოს კოლეგის კლიენტის კანონიერი უფლებები, არ მიმართოს არასათანადო რეკლამას და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები. კოლეგიალობის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრება კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

19.7 კოლეგებისადმი გამოხატული თავაზიანობა არის ცივილიზებული იურიდიული პროფესიის ნიშანი, რაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, საზოგადოებაში მაღალი ნდობის მოპოვებას და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას. კოლეგიალობის პრინციპით განსაზღვრული - ადვოკატის მიერ პროფესიული ღირებულებების დაცვა გულისხმობს მათ მიერ ეთიკის კოდექსით განსაზღვრული პირადი ღირსების, პატიოსნების, შეუვალობის, კომპეტენტურობის, კანონიერების დაცვას, ასევე, პროფესიული პრინციპების - დამოუკიდებლობის, ნდობის, კონფიდენციალურობის, კლიენტის ინტერესების უპირატესობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დაცვის ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა კორპორატიული ერთობის და მათი საერთო კორპორატიული ინტერესებიდან, იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას (ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ, ე. გასიტაშვილი, კ. ბოჭორიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, თ. ხუბულური, თბილისი, 2013 წ გვ. 121)

19.8 ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან და ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. განსახილველ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

19.9 საქართველოს კონსტიტუციის მე-19.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება“, ხოლო 24.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და მე-19.3 და 24.4 მუხლების მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

19.10 ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების

განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

19.11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

19.12 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეში №2317/12/06 აღნიშნა, რომ: ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.

19.13 ეთიკის კომისია პრაქტიკით ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს ადგენს, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ მოსამართლეების, არამედ იურიდიული პროფესიის მქონე სხვა პირების მიმართაც. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე №076/10) აღნიშნა, რომ: ,,გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი“. თუმცა ადვოკატი ვალდებულია საჯარო განცხადებების გაკეთების დროს დაიცვას ინფორმაციის სისწორე, „ადვოკატის მხრიდან ადგილი არ აქვს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, მაშინ, როდესაც მისი კომენტარები წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე“ (05.09.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე N069/11).

19.14 განსახილველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, კოლეგიალობის პრინციპი არ არის გამოსაყენებელი საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას არჩევნებში მონაწილე კანდიდატის ქცევაზე, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატის ქცევით შესაძლოა ზიანი ადგებოდეს ადვოკატთა კორპუსის კორპორატიულ ინტერესს - მოიპოვოს საზოგადოების ნდობა პროფესიის მიმართ, ამ კუთხით პროფესიის იმიჯის შესაძლო შემლახველი განცხადება ან ქცევა უნდა დაექვემდებაროს კოლეგიალობის პრინციპით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, თუ ასეთ განცხადებას თუ ქცევას ჰქონდა ადგილი.

19.15 ადვოკატი ზ. ხ. სადავოდ ხდის ადვოკატ დ. ლ.-ს შემდეგ ქცევებს: მოედანზე შემოსვლას, ხმამაღალ განცხადებას, რომ არჩევნები ყალბდება, ელექტროენერგია ქვრება და მის მოთხოვნას ყუთების დალუქვაზე. ზ. ხ. ადვოკატ დ. ლ.-ს ქცევას აფასებს მიზანმიმართულ მცდელობად

შელახულიყო ადვოკატთა ასოციაციის იმიჯი. საპროცესო კოლეგიის არ ადგენს ფაქტებს, მაგრამ მისი დასადგენია, ფაქტების დამტკიცების შემთხვევაში, დაარღვია თუ არა ადვოკატმა დ. ლ.-მ პროფესიული ღირებულებები.

19.16 სადავო საკითხთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის მიერ საქმეში წარმოდგენილია 2017 წლის 9 დეკემბრის ადვოკატთა საერთო კრების შესახებ მედიით გავრცელებული ინფორმაცია, ასევე სამი დამკვირვებელი ორგანიზაციის დასკვნები, რომელთა მოსაზრებით და ინფორმაციით არ დამდგარა არჩევნების ლეგიტიმაცია ეჭვქვეშ.

გამოკვლეულ ვიდეომასალაში ადვოკატ დ. ლ.-ს ქცევა შემდეგია:

დ. ლ. შემოდის ხმის მიცემისთვის განკუთვნილ მოედანზე და აკეთებს ხმამაღალ განცხადებას, რომ არჩევნები უნდა გაყალბდეს, შუქი ქრება და ყუთები სასწრაფოდ უნდა დალუქულიყო. მედიასთან გაკეთებულ ინტერვიუში დ. ლ. აცხადებს: ,,შუქი ქრება. გადაიდო, სპეციალურად გადაიდო 10-15 წუთით, რომ შუქი ჩააქრონ. მე არ ვიცი ვინ გადადო. რატომ უნდა ჩაქრეს შუქი ზუსტად 8 საათზე, როცა მორჩა არჩევნები, სასწრაფოდ დალუქეთ ყუთები. მანამდე უნდა დალუქულიყო ყუთები, რომ მორჩა კენჭისყრა. ჩაქვრა შუქი, იუპესზეა გადასული განათების სისტემა.“

ადამიანის უფლებათა ცენტრის 2017 წლის 12 დეკემბრის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ,,არჩევნების პროცესს ახლდა პროცედურული დარღვევები და ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რის გამოც არჩევნები რამდენჯერმე შეფერხდა. თვალშისაცემ დარღვევად უნდა შეფასდეს კენჭისყრის დასრულებისას კომისიის ორი წევრისთვის ერთი სახის რამდენიმე ბიულეტენის აღმოჩენა. თუმცა, ამ დარღვევის აღკვეთისა და ხმის დამთვლელი კომისიის მიერ საარჩევნო ყუთების დროულად დალუქვის შედეგად, ზედმეტი ბიულეტენები ყუთებში არ მოხვედრილა. კენჭისყრის დასრულების დროს, 20:00 საათისთვის საარჩევნო უბანზე ატყდა ხმაური რამდენიმე ადგილიდან. ასოციაციის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატი და მისი მხარდამჭერები აცხადებდნენ, რომ უნდა ჩამქრალიყო შუქი და საჭირო იყო საარჩევნო უბნის დაცვა. ამ განცხადების მიუხედავად, ელექტროენერგია არ გამორთულა და საარჩევნო პროცესი დაუბრკოლებლად გაგრძელდა. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც კანდიდატები ხმაურობდნენ და აფერხებდნენ საარჩევნო პროცესს. ხარვეზებს იწვევდა საარჩევნო კომისიის არაორგანიზებული საქმიანობა. საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ მიღებული ბიულეტენების რაოდენობა არ აღირიცხებოდა და ცნობილი არ იყო, რამდენი ბიულეტენი გაიცა კომისიის წევრებზე. გამოვლენილი დარღვევებისა და ხარვეზების მიუხედავად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს.“

ISFED-ის 2017 წლის 15 დეკემბრის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ,,კენჭისყრის დარბაზში ამომრჩეველთა ნაკადი 19:35 საათისთვის შეწყდა. თუმცა, სხდომის თავმჯდომარემ, როგორც თავად განაცხადა, კანდიდატების თხოვნით, კენჭისყრის პროცესი 20:00 საათამდე გააგრძელა და განაცხადა, რომ 20:00 საათისთვის შენობის და დარბაზის კარები ჩაიკეტებოდა და ვერავინ შეძლებდა ხმის მიცემას. კენჭისყრის დასრულების დროს, 20:00 საათისთვის საარჩევნო უბანზე ატყდა ხმაური რამდენიმე ადგილზე. ასოციაციის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატი დ. ლ. და მისი მხარდამჭერები აცხადებდნენ, რომ უნდა ჩამქრალიყო შუქი და საჭირო იყო საარჩევნო ყუთების დაცვა. ამ დროს კრების თავმჯდომარემ კომისიასთან ერთად დაიწყო ურნების

სასწრაფო დალუქვა. კენჭისყრის ოთახში ელექტრონერეგია არ გამორთულა და პროცესის ხილვადობა არცერთ ეტაპზე არ შეფერხებულა.“

ორგანიზაციის ,,ახალგაზრდა ადვოკატები“ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ,,კენჭისყრის პროცესის დასრულებამდე, რომელიც ძირითადად სამუშაო და მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, კენჭისყრის ადგილას იმყოფებოდნენ ასოციაციის თავმჯდომარეობის ორი კანდიდატი - დ. ლ. და ი. ჭ. ყველა სხვა კანდიდატი იმყოფებოდა დარბაზში, თავიანთი გუნდის წარმომადგენლებთან ერთად, სპეციალური მესერის მიღმა. კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, დ. მ.-მა, განაცხადა, რომ კენჭისყრის დღის მანძილზე, რამდენჯერმე ეცადა ხმის მიცემას და ვინაიდან სრულდებოდა კენჭისყრის პროცესი, გაემართა საარჩევნო კაბინისკენ. ამ მოქმედების პარალელურად, დაახლოებით 19:57 საათზე, დ. ლ.-მ გააკეთა ხმამაღალი განცხადება, რომ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დარბაზში ელექტროენერგია უკვე ჩამქრალი გახლადათ, სპორტის სასახლეში ამოქმედებული იყო დენის ალტერნატიული წყარო და გააკეთა მოწოდება, რომ სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო საარჩევნო ყუთების დაცვა გაყალბების მოსალოდნელი მცდელობების პრევენციისთვის. დ. ლ.-ს განცხადებამ საარჩევნო პროცესის ადგილზე გამოიწვია გაურკვევლობა, შექმნა ქაოსური მდგომარეობა და დაძაბულობა. შემდეგ ყურადღება გადავიდა დიანა მარტიაშვილისკენ, რომელსაც ბრალს სდებდნენ რამდენიმე ერთი და იგივე ფერის ბიულეტენის ხელში აღმოჩენაში. ამ პროცესში, სპორტის სასახლის ადმინისტრაციის სპეციალურმა დაცვამ სრულად შესძლო საარჩევნო ყუთების დაცულობის უზრუნველყოფა, საარჩევნო კომისიამ კი - მათი დროული დალუქვა. არც ერთი ბიულეტენი, ამ პროცესში, არ აღმოჩენილა საარჩევნო ყუთში. მეტიც, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ კენჭისყრის დარბაზში ელექტროენერგია არ გამორთულა და პროცესის ხილვადობა არც ერთ ეტაპზე შეფერხებულა.“

19.17 საპროცესო კოლეგია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებზე მსჯელობისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას. არსებობს ეჭვი აზრისა და ფაქტის გამიჯვნასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ (2018 წლის 17 იანვრის სუსგ №ას-790-739-2017).

19.18 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში ,,საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე №1/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: ,,გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“

19.19 საპროცესო კოლეგიამ სრულად გამოიკვლია მხარეთა პოზიციები, მოწმეთა ბ. ა., რ. მ., ი. ჭ., ლ. ჯ., ი. ნ., ნ. ქ., ნ. ლ., თ. ე., ნ. გ., თ. გ., ე. ხ., ლ-გ ლ, ა. ს. განმარტებები, ადვოკატების ზ. ხ.ა და დ. ლ.-ს მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალა, დამკვირვებელ ორგანიზაციათა დასკვნები, რომლის მიხედვითაც კოლეგიას შეექმნა გონივრული ვარაუდი, რომ:

19.19.1 ადვოკატ დ. ლ.-ს მისმა კოლეგამ ადვოკატმა ნ. ქ.-მ მიაწოდა ინფორმაცია, რომ სპორტის სასახლის მიმდებარედ ჩაქრა ელექტროენერგია. ელექტროენერგიის სპორტის სასახლის მიმდებარედ და თავად სპორტის სასახლის ფოიეში ჩაქრობის ფაქტს ადასტურებენ მოწმის სახით გამოკითხული ადვოკატებიც ბ. ა., ნ. ქ., ა. ს., რ. მ., ლ-გ ლ, ნ. ლ., ნ. გ., თ. გ.

19.19.2 დ. ლ. პირველად მივიდა ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციისათან, ი. ნ.-სთან და ქ. ჯ.-სთან და სცადა გაერკვია თუ იყვნენ მზად ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევისთვის, რაზეც მიიღო პასუხი, რომ მხოლოდ მობილური ტელეფონების ფარნების გამოყენება შეიძლებოდა. ამ გარემოებას ადასტურებს მოწმე ი. ნ.-ც.

19.19.3 დ. ლ.-ს განცხადება იყო ხმამაღალი, რასაც თავადაც ადასტურებს, თუმცა განცხადების მიზანი იყო ადვოკატთა საერთო კრების თავმჯდომარისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, რომ შესაძლოა ელექტროენერგია გამორთულიყო და დასაცავი იყო ხმები, რათა თავიდან აცილებულიყო ეჭვები არჩევნების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით.

19.19.4 დ. ლ.-ს მიერ განცხადების გაკეთებისას ხმის მიცემის პროცესი დასრულებული იყო, თუმცა ყუთები არ იყო დალუქული. დ. ლ.-ს მოწოდების შედეგად და კრების თავმჯდომარის, ზ. ხ. მითითებით 8 სთ-ზე ყუთები დაილუქა, რასაც დროში თანმხვედრად მოყვა კომისიის ორი წევრის მხილება მათ ხელში არსებული ზედმეტი ბიულეტენების ფაქტზე. დაცვა ყუთებთან განლაგდა და ბიულეტენის ჩაგდებას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული ჩანს წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერზეც.

19.19.5 დარბაზში ელექტროენერგია არ ჩამქრალა, თუმცა განათება შესუსტდა, რასაც ადასტურებენ მოწმეები ბ. ა., ნ. ქ., ა. ს., რ. მ., ლ.-გ. ლ., ნ. ლ., ნ. გ., თ. გ..

19.19.6 რაც შეეხება კანდიდატთა მოედანზე ყოფნის ფაქტს, მოწმეთა განმარტებებიდან, ასევე სიუჟეტებიდან დგინდება, რომ მოედანზე ადვოკატ დ. ლ.-ს გარდა ასოციაციის თავმჯდომარეობის სხვა კანდიდატებიც, კერძოდ ი. ჭ., ლ. ჯ. იმყოფებოდნენ.

19.20 კოლეგიამ დ. ლ.-ს ქცევა განიხილა არსებული საარჩევნო პროცესიდან გამომდინარე განვითარებულ მოვლენებთან ერთობლიობაში და არა მხოლოდ ცალკეული ქცევა ან გამონათქვამი და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ლ.-ს კომენტარი - ხმამაღალი განცხადება, რომ არჩევნები უნდა გაყალბებულიყო, შუქი ქრებოდა და ყუთები სასწრაფოდ უნდა დალუქულიყო, ასევე მედიასთან გაკეთებულ ინტერვიუში განცხადება, რომ ,,შუქი ქრება. გადაიდო, სპეციალურად გადაიდო 10-15 წუთით, რომ შუქი ჩააქრონ. მე არ ვიცი ვინ გადადო. რატომ უნდა ჩაქრეს შუქი ზუსტად 8 საათზე, როცა მორჩა არჩევნები, სასწრაფოდ დალუქეთ ყუთები. მანამდე უნდა დალუქულიყო ყუთები, რომ მორჩა კენჭისყრა. ჩაქრა შუქი, იუპესზეა გადასული განათების სისტემა," წარმოადგენს ადვოკატის სუბიექტურ შეფასებას, რომელიც მან გააკეთა კოლეგებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ადვოკატის კომენტარები მიმართულია არა არჩევნებში მონაწილე ადვოკატთა უფლებების შელახვისკენ, არამედ იგი სუბიექტურ შეფასებას გამოთქვამდა კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე შექმნილი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ხოლო თავად განცხადების ავტორის განცხადებული მიზანი იყო საარჩევნო პროცესის დაცვა გაყალბებისგან.

19.21 ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საქმე ეხებოდა ადვოკატთა კორპუსისთვის და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან მოვლენას - ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და მმართველი ორგანოების არჩევნებს, ხოლო როდესაც საქმე ეხება საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს, აზრის თავისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და მისი შეზღუდვისთვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი.

19.22 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ლ.-ს მიერ არჩევნების პროცესში გაჟღერებული მოსაზრებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით, რადგან მისი საუბარი შეიცავდა

შეფასებით მსჯელობას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო მოსაზრებები იყო წარმოდგენილი ადვოკატთა კორპუსისთვის და საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხზე - საარჩევნო პროცესზე. დ. ლ. მოსაზრების წარმოდგენით არ ისახავდა ადვოკატთა პროფესიული ღირებულებების შელახვას. გარდა ამისა, თუ არსებობს ეჭვი, ზემოაღნიშნული ცნობა ფაქტია თუ მოსაზრება, ყოველგვარი ეჭვი მოსაზრებას და ფაქტს შორის, 18.17 პარაგრაფში მითითებული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ, რომელიც სარგებლობს სამართლებრივი დაცვით. განსახილველი განცხადებების სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია განცხადების ავტორის, დ. ლ.-ს შეხედულებაზე.

19.23 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ დ. ლ.-ს განცხადებას ჰქონდა ობიექტური საფუძველი. მან მიიღო ინფორმაცია, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამქრალი იყო ელექტროენერგია, მან დააზუსტა, რომ ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაცია არ იყო მომზადებული ასეთი შემთხვევისთვის, მხოლოდ ტელეფონების ფანრების გამოყენება შეეძლოთ. რის შემდეგ მან დააყენა მოთხოვნა ყუთების დალუქვის თაობაზე, რასაც სხდომის თავმჯდომარე დაეთანხმა. კენჭისყრის დრომ არ გადაიწია და ყუთების დალუქვის საფუძველი გახდა დ. ლ.-ს განცხადების შემდეგ ზ. ხ. მოწოდება დაცვისადმი. საარჩევნო ყუთები დალუქული არ იყო 8 საათის მდგომარეობით და მხოლოდ ადვოკატ დ. ლ.-ს მოთხოვნის შემდეგ კრების თავმჯდომარის, ზ. ხ. მოწოდების შემდეგ მოხდა ყუთების დალუქვა, რასაც დროში თანმხვედრად მოჰყვა კომისიის ორი წევრის მიმართ პრეტენზიების წაყენება მათ ხელში არსებული ზედმეტი ბიულეტენების ფაქტზე. შესაბამისად, ადვოკატ დ. ლ.-ს განცხადება მიმართული იყო საარჩევნო პროცედურების დაცვისკენ, საარჩევნო ყუთების დალუქვის შესახებ მოწოდება იყო ლეგიტიმური, არ შეიცავდა რომელიმე კონკრეტული ადვოკატის მისამართით ან პროფესიისთვის შეურაცხმყოფელ ფრაზებს. ადვოკატ დ. ლ.-ს მოსაზრებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ადვოკატ დ. ლ.-ს განცხადებებს კოლეგია არ აფასებს პროფესიის, ადვოკატთა კორპუსის დისკრედიტაციად და საზოგადოებრივი რეპუტაციის შელახვისთვის მიზანმიმართულ ქმედებად. კოლეგია არ ადგენს ადვოკატ დ. ლ.-ს მიერ აპეკ-ის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევას.

19.24 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საპროცესო კოლეგია უფლებამოსილია დისციპლინური საქმის წარმოებისას: ა) შეისწავლოს საჩივარი (მომართვა) და მასზე დართული საქმის მასალები; ბ) მხარეებს ჩამოართვას წერილობითი ახსნა-განმარტებები საქმის გარემოებებთან დაკავშირებით; გ) განიხილოს მხარეების შუამდგომლობები დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში; და სხვა. ადვოკატმა დ. მ.-მა დამოუკიდებელი განცხადებით მომართა კომისიას 2018 წლის 9 ოქტომბერს და მოითხოვა განმარტების მიცემა მიმდინარე წარმოების ფარგლებში მის მიმართ არსებულ პრეტენზიებზე განმარტების მისაცემად. ადვოკატ დ. მ.-ის განცხადება გაეგზავნა ზ. ხ.-ს, რომელმაც 2018 წლის 4 დეკემბერს წერილობით განმარტა, რომ ადვოკატ დ. მ.-ის წინააღმდეგ არ შეუტანია საჩივარი და მისთვის გაუგებარია თუ საიდან გაიგო ადვოკატმა დ. მ.-მა ეთიკის კომისიაში მიმდინარე წარმოების დეტალები. ზ. ხ. განცხადებით, მას ადვოკატ დ. მ.-ის განცხადების საფუძველზე არ ჰქონდა სურვილი გაეკეთებინა განცხადება ან დაეყენებინა შუამდგომლობა. შესაბამისად, ვინაიდან ადვოკატი დ. მ. არ წარმოადგენდა მიმდინარე წარმოების მხარეს და არც მისი, როგორც მოწმის სტატუსით გამოკითხვაზე დააყენა შუამდგომლობა ზ. ხ., ხოლო კოლეგია შებოჭილია მხარეთა

შუამდგომლობებით და მოკლებულია შესაძლებლობას საკუთარი ინიციატივით განახორციელოს საპროცესო მოქმედებები, საპროცესო კოლეგიამ გადაწყვიტა არ გამოეკითხა ადვოკატი დ. მ. ზ. ხ. პრეტენზიაზე, რომ ადვოკატი დ. ლ. განცხადებებს ხმამაღალი ტონით აკეთებდა, კოლეგია განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლებით დაცულია როგორც განცხადების შინაარსი, ასევე განცხადების გაკეთების ფორმა. ადვოკატი ადასტურებს, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადებები ხმამაღლი იყო, ვინაიდან დარბაზში იყო ხმაური, ამასთან მან ყვირილი დაიწყო მას შემდეგ, რაც სხდომის თავმჯდომარემ არ დაუჯერა მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და ის ხმამაღალი ტონით მოუწოდებდა დაცვას დამდგარიყვნენ ყუთებთან და დაეცვათ ყუთები. ადვოკატის მიერ საარჩევნო ყუთების დალუქვის შესახებ მოწოდება შეფასდა ლეგიტიმურად და კოლეგიის შეფასებით, განცხადებების გაკეთების ფორმაზეც უნდა გავრცელდეს გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვა.

19.25 რაც შეეხება ადვოკატ დ. ლ.-ს სპორტის სასახლის მოედანზე ყოფნას, სადაც მიმდინარეობდა ხმის მიცემის პროცედურა, მოწმეთა განმარტებებიდან, ასევე მასმედიით გასული სიუჟეტებიდან დგინდება, რომ ადვოკატ დ. ლ.-ს მოედანზე შესვლისას კენჭისყრა დასრულებული იყო და ადვოკატ დ. ლ.-ს გარდა სხვა კანდიდატებიც, კერძოდ ი. ჭ., ლ. ჯ. იმყოფებოდნენ მოედანზე. მოედანზე იმყოფებოდა ასევე აღმასრულებელი საბჭოს სხვა წევრიც. ადვოკატ დ. ლ.-ს პოზიციით, მას როგორც აღმასრულებელი საბჭოს წევრს არ ეზღუდებოდა მოედანზე შესვლა და ყოფნა მაშინ, როდესაც ხმის მიცემა დასრულებული იყო. რეგულაცია, რომლის მიხედვითაც კოლეგიას ექნებოდა შესაძლებლობა შეეფასებინა რამდენად ჰქონდა ადვოკატ დ. ლ.-ს მოედანზე ყოფნის უფლება, საჩივრის ავტორის, როგორც წარმოების ინიციატორი მხარის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა და არც შუამდგომლობით მოუმართავს მას კოლეგიისთვის აღნიშნული ფაქტის დადგენისთვის შესაბამისი დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე, რის გამოც კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ადვოკატ დ. ლ.-ს მოედანზე ყოფნით დაირღვა თუ არა პროფესიული ღირებულებები.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №007/18 ადვოკატ დ. ლ.-ს მიმართ /სიითი №---/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრის

კონსტანტინე გელაშვილის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №007/18 გადაწყვეტილებაზე

ადვოკატ დ. ლ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

1. გამოვხატავ რა პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, რომლებთანაც ერთად განვიხილე დისციპლინური საქმე №007/18 და მივიღეთ გადაწყვეტილება ადვოკატ დ. ლ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე, ვეთანხმები რა მიღებულ გადაწყვეტილებას, დასაბუთებასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის გამო ვაფიქსირებ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს გადაწყვეტილების დასაბუთებაზე.

2. მიმაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი ფაქტები გადაწყვეტილებაში შემდეგნაირად უნდა ასახულიყო:

2.1 საჩივრის ავტორად მითითებული უნდა იყოს ს. ა. ა.-ის ა. ს. შემდეგი გარემოებების გამო:

ზ. ხ. 2018 წლის 26 იანვარს წერილობით მიმართა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს განცხადებით და მოითხოვა 2017 წლის 9 დეკემბრის არჩევნებზე მომხდარ მოვლენებზე შესაბამისი ზომების მიღება, ვინაიდან მისი შეფასებით, არჩევნებზე არსებული მაღალი გამჭირვალობის და დემოკრატიული პროცესის მიუხედავად, რამდენიმე ადვოკატმა მაინც სცადა მოეწყო ექსცესები, რომ ჩაშლილიყო არჩევნები და შეებღალათ ადვოკატთა ასოციაციის სახელი. ზ. ხ. შეფასებით, ყველა აღნიშნულ ექსცესს, დარღვევას თუ პროვოკაციას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, ადვოკატთა კორპუსმა უნდა გასცეს ადეკვატური პასუხი, ეს საკითხები დეტალურად უნდა გაირკვეს და სამართლიანი და კვალიფიციური დასკვნა გაკეთდეს. ა. ა.-ის ა. ს.-ოს 2018 წლის 31 იანვრის --- -ე გადაწყვეტილებით ზ. ხ. განცხადება ადვოკატთა ასოციაციის 09.12.2017 წლის საერთო კრებაზე მმართველი ორგანოების არჩევნებზე გამოვლენილი ინციდენტების გამორკვევის თაობაზე, კონკრეტული ადვოკატ(ებ)ის შესაძლო გადაცდომაზე რეაგირებისთვის, განსახილველად გადმოეცა ეთიკის კომისიას. ეთიკის კომისიისთვის გადმოცემული განცხადება არ შეიცავდა მითითებას იმ ადვოკატის (ადვოკატების) ვინაობაზე, რომელიც განმცხადებლის შეფასებით, არჩევნების დროს არაეთიკურად მოიქცა, თუმცა მოთხოვნა - ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და ასოციაციის ორგანოების არჩევნების დროს ადვოკატთა მხრიდან ჩადენილ სავარაუდო დარღვევებზე რეაგირება - დაყენებული იყო.

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიმართვა ეთიკის კომისიისადმი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

ა. ს.-ოს 2018 წლის 31 იანვრის --- -ე გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ზ. ხ. განცხადება ადვოკატთა ასოციაციის 09.12.2017 წლის საერთო კრებაზე მმართველი ორგანოების არჩევნებზე გამოვლენილი ინციდენტების გამორკვევის თაობაზე, კონკრეტული ადვოკატ(ებ)ის შესაძლო გადაცდომაზე რეაგირებისთვის, განსახილველად გადაეცეს ეთიკის კომისიას. ა. ს.-ოს მიერ

მიღებული გადაწყვეტილებიდან და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ წარმოების დაწყების საფუძველი გახდა აღნიშნული მომართვა და საჩივრის ავტორს წარმოადგენს არა ადვოკატი ზ. ხ., როგორც გადაწყვეტილებაშია მითითებული, არამედ ა. ს. (მომმართველი). ზ. ხ. სხდომაზე მოწვევა ემსახურებოდა სწორედ ა. ს.-ს მომართვის გამოკვლევას.

2.2 გადაწყვეტილების მე-16 აბზაცში ადვოკატ დ. მ.-ის წერილობითი მომართვის გარდა აღნიშნული უნდა იყოს ადვოკატ მ. თ.-ის მომართვაც. კოლეგიისთვის ცნობილი გახდა, რომ 2018 წლის 21 სექტემბერს ეთიკის კომისიას განცხადებით (რეგისტრაციის ნომერი 052/18) მომართა ადვოკატმა მ. თ.-მა, რომელიც უთითებდა, რომ 2017 წლის 9 დეკემბრის საერთო კრებაში მონაწილეობდა როგორც ხმის დამთვლელი კომისიის წევრი და ჰქონდა სურვილი ეთიკის კომისიის შესაბამისი კოლეგიისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია კონკრეტული ადვოკატების, მათ შორის ადვოკატ ი. ჭ.-ს ქმედებებთან დაკავშირებით.

გამომდინარე იქიდან, რომ დისციპლინური წარმოება მიმდინარეობდა ადვოკატ დ. ლ.-ს მიმართ, კოლეგიამ გადაწყვიტა, რომ ადვოკატ მ. თ.-ის განცხადება არ უკავშირდებოდა მიმდინარე წარმოებას და დაუბრუნა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს შემდგომი რეაგირებისთვის. მიმაჩნია, რომ სამართლიანი პროცესის ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც დ. მ.-ს, ისე მ. თ.-ს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა წარმოედგინათ თავიანთი განმარტებები ადვოკატთა ასოციაციის 09.12.2017 წლის საერთო კრებაზე მმართველი ორგანოების არჩევნებზე გამოვლენილ ინციდენტებთან დაკავშირებით.

2.3 გადაწყვეტილების 19.16 აბზაცში, სადაც საუბარია ISFED-ის 2017 წლის 15 დეკემბრის დასკვნაზე, ასევე მითითებული უნდა იყოს დასკვნის ის ნაწილიც, რომელშიც ვკითხულობთ: “სადამკვირვებლო ორგანიზაციის შეფასებით, არჩევნების პროცესს თან ახლდა გარკვეული პროცედურული დარღვევები და ტექნიკური ხასიათის ხარვეზები. მნიშვნელოვან დარღვევად უნდა შეფასდეს არჩევნების დასრულებისას კომისიის ორი წევრისთვის ერთი და იმავე სახის რამდენიმე ბიულეტენის აღმოჩენა, მაგრამ ამ დარღვევის დროულად აღკვეთისა და ხმის დამთვლელი კომისიისა და კრების თავმჯდომარის მიერ საარჩევნო ყუთების დალუქვის შედეგად, აღნიშნული ბიულეტენების არამართლზომიერად გამოყენება არ მომხდარა და კენჭისყრის ლეგიტიმურობას საფრთხე არ შექმნია.”

2.4 გადაწყვეტილების 19.23 აბზაცში მითითებულია, რომ საარჩევნო ყუთები დალუქული არ იყო 8 საათის მდგომარეობით და მხოლოდ ადვოკატ დ. ლ.-ს მოთხოვნის შემდეგ კრების თავმჯდომარის, ზ. ხ. მოწოდების შემდეგ მოხდა ყუთების დალუქვა, რასაც დროში თანმხვედრად მოჰყვა კომისიის ორი წევრის მიმართ პრეტენზიების წაყენება მათ ხელში არსებული ზედმეტი ბიულეტენების ფაქტზე, რომლებშიც შემოხაზული იყო დ. ა.

განხილვის ეტაპზე მოქმედ სტანდარტთან შედარებით საპროცესო ეტაპზე არსებული მტკიცების შედარებით დაბალი სტანდარტის მიუხედავად, კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტზე მხოლოდ მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე მოწმე უთითებს და ამასთან, არ გამოკითხულა ხმის დამთვლელი კომისიის ის ორი წევრი, რომელთა ხელშიც ვითომდაც ზედმეტი ბიულეტენი აღმოჩნა, ასევე ფაქტზე არ გამოკითხულან დამკვირვებლები, აღნიშნული არ არის საკმარისი ფაქტის დასადგენად და მიმაჩნია, რომ გადაწყვეტილების

სამოტივაციო ნაწილში არ უნდა ეწეროს შემდეგი გარემოება და ტექსტი: ,,...რასაც დროში თანმხვედრად მოჰყვა კომისიის ორი წევრის მიმართ პრეტენზიების წაყენება მათ ხელში არსებული ზედმეტი ბიულეტენების ფაქტზე, რომლებშიც შემოხაზული იყო დ. ა.“

2.5 დისციპლინური საქმის მასალებიდან ასევე არ ჩანდა სრულად ა. ს.-ოს რომელი წევრები იმყოფებოდნენ მოედანზე და რადგან გადაწყვეტილების 19.25 აბზაცში მითითებულია, რომ ადვოკატ დ. ლ.-ს მოედანზე შესვლისას კენჭისყრა დასრულებული იყო და ადვოკატ დ. ლ.-ს გარდა სხვა კანდიდატებიც, კერძოდ ი. ჭ, ლ. ჯ. იმყოფებოდნენ მოედანზე, მაგრამ მსჯელობა გრძელდება და ზოგადად არის მითითებული აღმასრულებელი საბჭოს სხვა წევრების მოედანზე ყოფნის ფაქტიც, რაც ზედმეტია, რადგან დაკონკრეტებული არ არის საბჭოს დანარჩენ წევრთა ვინაობებიც.

კონსტანტინე გელაშვილი

ეთიკის კომისიის წევრი